ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## რუსეთმა ოჩამჩირეში თავისი სამხედრო საზღვაო ბაზის გახსნა თბილისს შეუთანხმა?

რა კავშირი აქვს კავკასიასა და ისრაელში მიმდინარე მოვლენებს ერთმანეთთან



გვ.4

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 10 ოქტომბერი, 2023 №199 (9235) ფასი: 80 თეთრი

# „მეოთხე ომს მოვესწარი, რაც ისრაელში ვცხოვრობ, მაგრამ ასეთი ჯერ არ ყოფილა“



გვ.2

„ბავშვები დაგვიხოცეს! ისრაელი დათმობაზე აღარ მიდის!“



მამუკა დავარაშვილი: „მე ძალიან ახლოს ვცხოვრობ ღაზას სექტორთან, დაახლოებით 10-15 კილომეტრის დაშორებით. მთელი ღამე ვუყურებდი, როგორ იბომბებოდა ღაზა“

## „ისრაელმა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან წააგო“



გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „ამ სიტუაციაში თუ ვინმემ მოიგო, ეს არის რუსეთი“

## „საქართველოსა და აზერბაიჯანს ძალიან ბევრი საკითხი აქვთ მოსალაპარაკებელი“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „რთულად წარმომიდგენია, სომხეთმა ყარაბაღი დაივიწყოს და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შერიგება მარტივად მოხდეს“

## „დედას გახვრეტილი ქვა თოკით ჰქონდა ჩამოკიდებული კისერზე, რათა შვილი გადასახლებიდან ცოცხალი დაბრუნებოდა“



გვ.5

## ვილი სანიოლი: „ესპანეთთან მარცხის გამო პასუხისმგებლობას ვიღებ, ახლა ყურადღება მარტის თამაშებზე გვაქვს“



გვ.7

**2** საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ეკა ტყეშელაშვილი ავტოკატასტროფაში მოყვა

**4** პუტინის ბრძანება ვერ შესრულდა

**5** ჰიპერტონია შეუმჩნევლად გვეპარება

**6** ვინ დგას ჰამასის ბოევიკების უკან?

# „მეოთხე ომს მოვესწარი, რაც ისრაელში ვცხოვრობ, მაგრამ ასეთი ჯერ არ ყოფილა“

## მამუკა დავარაშვილი: „მე ძალიან ახლოს ვცხოვრობ ღაზას სექტორთან, დაახლოებით 10-15 კილომეტრის დაშორებით. მთელი ღამე ვუყურებდი, როგორ იბომბებოდა ღაზა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ისრაელში მცხოვრები ექიმი, მამუკა დავარაშვილი პასუხობს.

**– ბატონო მამუკა, მთელი მსოფლიოს ყურადღება ახლა ისრაელისკენ არის მომართული. ყველა წუხს იმის გამო, რაც მოხდა. რა მდგომარეობაა ახლა, რა ინფორმაციის მოწოდება შეგიძლიათ ჩვენთვის?**

– ამ წუთას ძალიან დიდი ომია აქ. უკვე მეოთხე ომს მოვესწარი, რაც აქ ვცხოვრობ, მაგრამ ასეთი ჯერ არ ყოფილა. ღაზაში რა ხდება, ნუ იკითხავთ, იქ საშინელი დაბომბვები მიმდინარეობს. მთელი ღამე არ გაჩერებულან ისრაელის თვითმფრინავები. ასეთი რამ, მე აქამდე არ მინახავს.

**– ისრაელი გადასულია აქტიურ შეტევაზე?**

– ამას შეტევა აღარ ჰქვია. ძალიან გაბრაზებულია ხალხი. ასეთი რამე, აქამდე ისრაელში არ მომხდარა.

**– დიდია მსხვერპლი?**

– ძალიან დიდია. ისრაელისთვის ერთი ადამიანის სიკვდილიც კი უდიდესი ტრაგედიაა. წინა შეტევის დროს გარდაიცვალა ერთი ქალბატონი, გარდაიცვალა სახლში რაკეტით და როგორც კი ამ ქალბატონის გარდაცვალების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, დაიწყო ჯოჯოხეთი. აქ ასე ხდება ყოველთვის, როგორც კი ადამიანი დაიღუპება, ისრაელი დათმობაზე აღარ მიდის. მით უმეტეს, ახლა, ბავშვები დახოცეს, საშინელ ვიდეოებს ავრცელებენ, როგორ კლავენ და აწამებენ.

**– ტყვეები ჰყავთ გატაცებული, მათ შესახებ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– როგორც ვრცელდება ინფორმაცია, მიმდინარეობს ამ ტყვეების გათავისუფლების მცდელობა. წუთით არ ჩერდება ისრაელის ჯარი. მე ძალიან ახლოს ვცხოვრობ ღაზას სექტორთან, დაახლოებით 10-15 კილომეტრის დაშორებით. მთელი ღამე ვუყურებდი, როგორ იბომბებოდა ღაზა. თუ რომელიმე მძევალი მოკლეს, ან საჯაროდ დაიდო რომელიმეს მკვლელობა, წამება, ისრაელი იძახის, რომ იმ წუთიდან გადავა ტოტალურ დაბომბვაზე. არ მოხდება არანაირი გარჩევა. გაუჩერებლად დაიბომბება ღაზას სექტორი.



მამუკა დავარაშვილი

### „ბავშვები დაგვიხოცეს! ისრაელი დათმობაზე აღარ მიდის!“

**– ბატონო მამუკა, ახლა მხოლოდ ისრაელი უტევს თუ ღაზას სექტორიდანაც იბომბება ისრაელის ტერიტორია?**

– ისინიც უშვებენ რაკეტებს. დღეს გააქტიურდნენ.

**– ბრძანეთ, რომ ახლოს ხართ საზღვართან, რამდენად უსაფრთხოდ ხართ?**

– ვინც თანამედროვე სახლებში ვცხოვრობთ, ე.წ. ახალ შენობებში, აქ ყველას აქვს დაცული ოთახი. მთლიანად რკინის არის, ფანჯარა, კედელი, კარები, აბსოლუტურად ყველაფერი. ჯერ არ მომხდარა, რომ ამ ოთახში შეფარებული ადამიანი დაშავებულიყო. ვისაც ასეთი დაცული ოთახი არ აქვს, უნდა მოასწროს და 10 წამში უნდა ჩავიდეს ბუნკერში. ძალიან მძიმე საყურებელია მოხუცები, დედები პატარა ბავშვებით როგორ გარბიან.

**– რა ინფორმაცია ვრცელდება დაჭრილებსა და გარდაცვლილებზე?**

– ძალიან ბევრია გარდაცვლილი. ჯერჯერობით რაც დათვალეს, 700 კაცია მოკლული. გარდაცვლილს ვერ ვიტყვით, რადგან გარდაცვალება ჰქვია, მშვიდად რომ გარდაიცვლება სახლში. ესენი დახოცეს, აწამეს, იძალადეს. ძალიან ბევრი ახალგაზრდა და ბავშვია მოკლული.



**– ფესტივალი იმართებოდა იმ დროს.**

– დიახ, მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ბავშვები და ახალგაზრდობა. გერმანია, საფრანგეთი. ყველაზე მეტი გერმანიიდან იყვნენ და სწორედ ყველაზე მეტი გერმანელი დახვრიტეს. ეგენი ხომ ველურები არიან, მარტო ებრაელებს კი არა, ზოგადად ცივილიზაციას ებრძვიან და ხვრეტენ. არავინ აპატიებს ასეთ სისასტიკეს. ვინც გაბედავს და ამ ტერორისტებს ხელს შეუწყობს, კარგი დღე არც მათ ელოდება. საერთოდ სად იბადებიან, ან სად იზრდებიან, ვიდეოებს უღებენ, როგორ კლავენ, როგორ აწამებენ და მერე ამას აქვეყნებენ. ამათი დანდობა როგორ შეიძლება?!



**– როგორია ახლა ისრაელის პოზიცია? ყველანაირი მოლაპარაკება და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე საუბარი დამთავრებულია?**

– გამორიცხულია. ნეთანიაჰუმ ტელეფონიც კი გათიშა და გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ ამ საკითხზე არავინ დამირეკოს. თუ დამეხმარებით და გვერდზე დამიდგებით, დამიდექით, გაჩერებას ნურავინ მომთხოვსო. ბავშვებს და ქალებს მაინც ინდობს ისრაელი. ასე რომ არ იქცეოდეს, ახლა ასი ათასობით გარდაცვლილი ეყოლებოდათ, მაინც თავს იკავებს ისრაელი და წერტილოვან დაბომბვებს ახორციელებს. აი ამ ცივილიზაციაში და დემოკრატიაშია ჩვენი „სისუსტე“. ამით სარგებლობენ ეს ტერორისტები.

**– დაჭრილიც ბევრია?**

– ორი ათასია დაჭრილი და აქედან 350 უმძიმესი.

**– სულ ისმის კითხვა, რა მოხდა? ასეთი კარგი დაზვერვა აქვს ისრაელს და ამხელა სამზადისი და სპეცოპერაცია როგორ გამოეპარა?**

– ეტყობა, ძალიან აგვივარდა თავში. ასე მოხდა 1973 წელსაც. 1967 წელს მოვიგეთ ომი, ბრწყინვალედ მოვიგეთ 6-დღიანი ომი და ახლა როგორღა გაბედავენ არაბები, ჭკუაზე მოვიდნენ, ომს ველარ დაიწყებენ და ამ თავდაჯერებულობის გამო მივიღეთ უამრავი მსხვერპლი. ეს იყო შავი ომი. ომი კი მოვიგეთ, გავანადგურეთ ეგვიპტე, სირია, ლიბანი, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ მაინც წავაგეთ, იმიტომ, რომ 2.300 ადამიანი გარდაიცვალა. ახლა მეორე ქიფურის ომია. ასე დაარქვეს. ზუსტად 50 წლის შემდეგ იყო. 1973 წლის 6 ოქტომბერს დაიწყო ქიფურის ომი, მაშინაც მოუმზადებელი შეხვდა ისრაელი და იგივე მოხდა ზუსტად 50 წლის შემდეგ.

**– არ ელოდნენ ასეთ მასშტაბურ თავდასხმას?**

– არ ელოდა. ჰამასი სულ გვესაუბრებოდა, მორჩა ომი, მშვიდობა გვინდა და აი სწორედ აქ გაეპარათ. შაბათი დღე იყო, თან იყო ებრაული დღესასწაული. დაემთხვა ეს ზეიმი და შაბათი დღე. ჯარიდან 90% დახოვილი იყო და აი ამით ისარგებლეს.

**– ახლა რა იქნება?**

– განადგურება ჰამასის! მთლიანად განადგურება. სხვა გზა არ არსებობს, გამორიცხულია სხვა რამეზე საუბარი. ბავშვები დაგვიხოცეს! ისრაელში ყველაზე დიდ პატივს სცემენ ბავშვსა და მოხუცს. ისინი ხელშეუხებლები არიან. სახელმწიფო დონეზეა მათი დაცვა აყვანილი. არავინ აპატიებს ბავშვების და მოხუცების დახოცვას! გამორიცხულია, რომ ეს აპატიონ. ასი ათასჯერ ძლიერია ისრაელი, როგორ შეიძლება შეადარო ძალთა ბალანსი, უბრალოდ, გვღუპავს ეს დემოკრატია. განა დემოკრატია ცუდია, უბრალოდ, ამ ველურებმა არ იციან, რა არის დემოკრატია და მათ სწორედ თავის ენაზე უნდა ელაპარაკო. ამ ტერორისტებს ესმით მარტო მუშტი სახეში და ტყვია თავში.



**– არანაირი უკანდახევა აღარ იქნება? ასეთია ხელისუფლების პოზიცია?**

– გამორიცხულია. რა უკან დახევა. არანაირი. 30 ათასი ჯდება რკინის გუმბათის ერთი გასროლა. დაახლოებით 5 ათასი გაისროლეს უკვე. ხომ ხვდებით, რა თანხებზეა საუბარი, თუმცა, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს ეხება საქმე, ისრაელის ხელისუფლება უკან არაფერზე დაიხევს. ადამიანის სიცოცხლე არის შეუფასებელი!

# პატრულ-ინსპექტორმა, თანმხლებ პირთან ერთად, მოქალაქეზე ფიზიკურად იძალადა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ჯგუფური ძალადობის ფაქტზე მხილებულია პატრულ-ინსპექტორი.

გამოძიებით დადგინდა, რომ სამართალდამცავმა, თანმხლებ პირთან ერთად, 2023 წლის 28 სექტემბერს, ახალციხეში, ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, ყოფით ნიადაგზე მომხდარი შელაპარაკებისას, ფიზიკურად იძალადა მოქალაქეზე, რის შედეგადაც მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება.

დანაშაული 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურამ საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ბრალდება ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარუდგინა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე აგრძელებს გამოძიებას.

# გურჯაანში პნევმატური იარაღიდან გასროლილი ტყვიით მოზარდი დაშავდა

გურჯაანში პნევმატური იარაღიდან გასროლილი ტყვიით მოზარდი დაშავდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, შემთხვევა თამაშის დროს მოხდა. ერთ-ერთ მცირეწლოვანს ტყვია შემთხვევით გაუვარდა და იქ მყოფ ბავშვს თვალის არეში მოხვდა.

დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია.



# საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ეკა ტყეშელაშვილი ავტოკატასტროფაში მოყვა

ავტოკატასტროფა ლვოვში – მძიმედ დაშავდა საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი.

ავტოავარია კიევი-ჩოპის გზატკეცილზე 8 ოქტომბერს მოხდა. რა დროსაც ერთმანეთს ჰიუნდაისა და აუდის ტიპის ავტომობილები შეეჯახნენ. მომხდარის შესახებ ინფორმაციას ლვოვის ეროვნული პოლიციის მთავარი სამმართველო ადასტურებს.

უკრაინული მედიის თანახმად, შემთხვევის შედეგად დაიღუპა ერთი ქალი, ორი მოქალაქე კი დაშავდა.

ეკა ტყეშელაშვილი უკრაინაში ევროკავშირის ანტიკორუფციული პროექტის ხელმძღვანელია.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოხო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ისრაელმა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან წააგო“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ამ სიტუაციაში თუ ვინმემ მოიგო, ეს არის რუსეთი“

ნონა ცაბაძე

*„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.*

***– ბატონო პაატა, კვირის ბოლოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ეწვია თბილისს. რით ხსნით ამ მოულოდნელ ვიზიტს? რა გზავნილები ამოიკითხეთ ირაკლი ღარიბაშვილის და ილჰამ ალიევის განცხადებებიდან?***

– ეს პირველად არ ხდება. წინა ვიზიტის დროსაც ზუსტად ასე მოხდა. მეორედ ჩამოვიდა ასე მოულოდნელად. ოფიციალური განცხადებები იყო ძალიან ზომიერი, ზოგადი, მისასალმებელი, მაგრამ ვფიქრობ, ალიევი ამის გამო არ ჩამოსულა. ასევე ამ ყველაფერს აძლევენ არაოფიციალურ ელფერს, რათა პრეზიდენტს არ შეახვედრონ. ესეც მნიშვნელოვანი დეტალია. ოფიციალური ვიზიტი რომ ყოფილიყო, მაშინ პრეზიდენტსაც აუცილებლად უნდა შეხვედროდა.

***– რისთვის ჩამოვიდა?***

– ჩამოსვლის მიზეზი აშკარად სხვაა. ორბანი ჩამოდის ამ დღეებში და მთავარ მიზეზს აქ ვხედავ. წინა ვიზიტის დროსაც, როდესაც ალიევი მოულოდნელად ჩამოვიდა, ამის შემდეგ ღარიბაშვილი წავიდა უნგრეთში და შეხვდა ორბანს. როგორც ჩანს, საერთო სტრატეგიას სახავს და გეგმავს საქართველო და აზერბაიჯანი, როცა ხვდებიან უნგრეთს, თუ რას სთავაზობენ ევროპას, როცა საუბარია კაბელზე. ორბანი კი უფრო საქართველოს და აზერბაიჯანის მოკავშირეა, ვიდრე ევროკავშირის. თუ ორბანი არ ჩავიდა აზერბაიჯანში და საქართველოდან დაბრუნდა უკან, მაშინ ჩემი ვერსია გამართლებულია. ალიევმა, ღარიბაშვილთან შეათანხმა საკითხები, რაც ჩვენმა პრემიერმა ორბანს უნდა უთხრას. იმისთვის, რომ უნგრეთმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა საერთო პოზიციით და ერთიანი ხმით ევაჭრონ ევროკავშირს. სწორედ ეს აუცილებლობა დავინახე ამ გარდაუვალი ჩამოსვლისა, ასე მოულოდნელად და დაუგეგმავად.

ასევე კიდევ ერთი საკითხი, სომხეთთან საბოლოოდ არ არის მოგვარებული კონფლიქტის თემა, კიდევ ერთი ესკალაცია გამორიცხული არ არის. თბილისში ჩამოსვლისას მან გააფრთხილა ღარიბაშვილი, რომ შესაძლოა, კიდევ ჰქონდეს ესკალაციას ადგილი და როგორც ახლა ხართ ჩუმად, ბოლომდე ასე იყავით. ორბანი და ეს მეორე საკითხი, მე სხვა თემებს ვერ ვხედავ, თუ რატომ უნდა ჩამოსულიყო ალიევი თბილისში.

***– ბატონო პაატა, ყველა მიმართულებით დაძაბული ვითარებაა. ბევრი ცხელი წერტილია. ამ ფონზე, რუსეთს ოჩამჩირეში სამხედრო ფლოტი შეჰყავს. რისთვის დასჭირდა ახლა ეს ყველაფერი, რას გეგმავს რუსეთი?***

– სევასტოპოლში, სადაც არის შავი ზღვის ფლოტისა ძირითადი ბაზა, სევასტოპოლს ემუქრება სერიოზული საფრთხე. უკრაინა სულ უფრო და უფრო უტევს ყირიმის მიმართულებით და სულაც არაა გამორიცხული, ამ მიმართულებით სერიოზული შეტევა დაიწყოს უკრაინამ. ამიტომ, რუსეთს უნდა, გადაარჩინოს ფლოტი. არის კიდევ ერთი პორტი, თეოდოსის და იქაც გადაისროლა ნაწილები. ოჩამჩირე არის ძალიან პატარა პორტი, იქ შეიძლება დაეტიოს 3-4 პატარა ზომის სამხედრო ხომალდი. რუსეთს ამ ეტაპისთვის სჭირდება იმის დაფიქსირება, რომ იქ არის ბაზა. როცა ბაზა არსებობს, ეს ნიშნავს შემდეგს, რომ არსებობს მისი დაცვის არეალი. ამ ფონზე კი რუსეთი აფართოებს არეალს საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე. ეს ბაზა ანაკლიის პორტსაც ემუქრება. რუსეთი მუდმივად გვეტყვის, რომ აქ ბაზა მაქვს და ამ გემებმა ასე კი არა, ისე უნდა იარონ.

***– შეეცდება ჩვენს შევიწროვებას?***

– აუცილებლად. შეეცდება ჩვენს შევიწროვებას და თურქეთის შევიწროვებასაც. შავ ზღვაზე ყველაზე ძლიერი ფლოტი არის რუსეთის და თურქეთის. თურქეთისთვის ეს არის სერიოზული გამოწვევა. რუსეთი აკეთებს ახალ ბაზას და უახლოვდება თურქეთის საზღვარს. ეს ყველაფერი კი ხდება საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის ხელისუფლებაც ხმას არ იღებს. არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამს საქართველოს ხელისუფლებას, გარდა საგარეო სამინისტროს ერთი წყალწყალა განცხადებისა. ფრენების აღდგენისა არ იყოს, შესაძლოა, ესეც ორმხრივი შეთანხმების შედეგი იყოს. აუცილებელი იყო თურქეთთან მოლაპარაკებები, თუ რა დაეპირისპირებინათ რუსეთისთვის. მსგავსი არაფერი გვინახავს. თურქეთიც ხმას ვერ იღებს, რადგან არ იცის საქართველოს ხელისუფლების პოზიცია. დღეს საქართველოს არავინ არ ენდობა. აი რა არის ყველაზე დიდი ტრაგედია.

***– ბატონო პაატა, დღეს მსოფლიოს ყურადღება ისრაელისკენ არის მიმართული. რა მოხდა ასე მოულოდნელად? ბოლო ორი დღეა ექსპერტებისგან სულ გვესმის შეფასებები და კითხვები, როგორ გამოეპარა ამხელა სამზადისი ისრაელის დაზვერვას?***

– ეს მართლაც უცნაურია. ის, რომ ჰამასი და ჰეზბოლა, მსოფლიოში ორი დიდი შეიარაღებული და გასამხედროებული ძალა, რომელიც ებრძვის ისრაელს, ისინი რომ ამ ტიპის თავდასხმას ამზადებენ, ამაში ეჭვი არავის არ ეპარება. ისინი სულ ამზადებენ ტერორისტულ აქტებს, წერტილოვან დარტყმებს და ისრაელიც ამისთვის ყოველთვის მზადაა. თუმცა, ასეთი ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია დაეგეგმათ და ისრაელის ასე სახელგანთქმულ დაზვერვის სამსახურებს ეს გამოჰპარვოდათ, სწორედ ესაა გამაოგნებელი. როგორ გამოეპარათ ასეთი დიდი ოპერაცია?! აბსოლუტურად ყველგან ჰყავთ თავისი აგენტები.

***– სწორედ ეს აჩენს კითხვებს, რა მოხდა?***

– მოხდა ის, რომ ძალიან ვიწრო წრეში დაიგეგმა ეს ყველაფერი. ახლა ამბობენ, რომ ირანმაც დაგეგმა რაღაცები, ირანში იმდენად ბევრი აგენტები ჰყავს ისრაელს, რომ აუცილებლად გაიგებდნენ ამას. როგორც ჩანს, ძალიან ვიწრო წრეში დაიგეგმა ეს ყველაფერი. მხოლოდ ჰეზბოლაში და მხოლოდ ბოლო დღეს გასცეს ამის ნებართვა.

***– როგორ აღმოჩნდა ტერორისტების ხელში ამერიკული იარაღი? საუბარია, რომ უკრაინიდან. ვისმენთ ახლა ამ ბრალდებებს. ამაზე რას იტყვით?***

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება. იქნებ სწორედ ის იარაღია გამოყენებული, ამერიკელებმა ავღანეთში რომ დატოვეს?! კი ბატონო, ორივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, თუმცა მტკიცებულებებია საჭირო. ყველა იარაღს აქვს თავისი სერიული ნომერი. ამიტომ ძალიან იოლია დადგინდეს, როგორ



მოხვდა კონკრეტული იარაღი იქ, სადაც ის დღეს არის. ამიტომ საჭიროა გამოძიება. მარტო ზეპირი განცხადებები არადამაჯერებელია.

***– ბატონო პაატა, რამდენად ურევია აქაც რუსეთის ხელი?***

– მე ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთი ამით დაინტერესებული იყოს. პირდაპირ ვერ ჩაერთვებოდა, ეს საშინლად გამოჩნდებოდა. დარწმუნებული ვარ, რუსეთს როგორც ჰეზბოლაში, ისე ჰამასში თავისი ხალხი ეყოლება და თავისი გავლენები ექნება. რუსეთს ახლა ძალიან სჭირდება უკრაინიდან გადაიტანოს ყურადღება. არა მარტო პოლიტიკური, არამედ ფინანსურიც. ამერიკას ახლა ცალკე ფულის გამოყოფა მოუწევს ისრაელისათვის, ცალკე იარაღის გადაცემა. ასევე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ყურადღების გადატანა, მედიის ყურადღებაც მთლიანად ახლა ისრაელისკენაა მიმართული. ამ სიტუაციაში თუ ვინმემ მოიგო, პირველ რიგში, ეს არის რუსეთი. აი ისრაელმა კი, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან წააგო. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა. ყოვლად გაუმართლებელია და არ უნდა დაეშვა ჰამასს ასეთი ტერორისტული აქტი. ეს მხოლოდ მათ წინააღმდეგ იმუშავებს. პოლიტიკურად წააგო ისრაელმა. ასევე წააგო საუდის არაბეთმა, რადგან ის მონაწილეობდა შერიგებაში. ასევე ამერიკამ წააგო რეპუტაციულად. დემოკრატიულმა მთავრობამ წააგო და რესპუბლიკელები გაძლიერდნენ. ტრამპის დროს ასე არ ხდებოდა, თქვენ რანაირი პარტნიორები

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „საქართველოსა და აზერბაიჯანს ძალიან ბევრი საკითხი აქვთ მოსალაპარაკებელი“

## სოსო ცინცაძე: „რთულად წარმომიდგენია, სომხეთმა ყარაბაღი დაივიწყოს და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შერიგება მარტივად მოხდეს“

ნათია ხურცილავა

*პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.*

***– ბატონო სოსო, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ალიევის საქართველოში მოულოდნელი ვიზიტი რას შეიძლება უკავშირდებოდეს?***

– ერთი შეხედვით, მართლაც მოულოდნელი ვიზიტი იყო. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ძალიან ბევრი საკითხია გასარკვევი და მოსალაპარაკებელი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საზღვრების საკითხი არ გვაქვს მოგვარებული. აზერბაიჯანი არის მეზობელი სახელმწიფო, რომელთანაც საზღვრები საქართველოს არ აქვს დადგენილი. საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაცია არ არის მარტივი საკითხი. ამიტომ, საერთოდ არ გამიკვირდება, რომ ამ საკითხსაც შეხებოდნენ ალიევი და ღარიბაშვილი.

მეორე, არჩევნების წელი მოდის. აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევსა და პრემიერ ღარიბაშვილს კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. თუ ნავთობის ფასი, კონკრეტულად ბენზინის ფასი დარეგულირდება და ასეთი კატასტროფული არ იქნება, ამით ალიევი „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ სამსახურს გაუწევს წინასაარჩევნოდ. ბევრ ისეთ დეტალს შეიძლება შეხებოდა საუბარი, მოლაპარაკებაც კი, რომ მიჭირს კონკრეტული საკითხის გამოყოფა. თუმცა, მსხვილი საკითხიც აუცილებლად იქნებოდა, რასთან



დაკავშირებითაც ჩამოვიდა საქართველოში ალიევი.

აზერბაიჯანის პრეზიდენტს საქართველო მოენატრა და ამიტომ გვესტუმრა, ამას ქუჩაში გამვლელიც კი არ გეტყვით. იყო საკითხი, რომელიც საჭიროებდა ლიდერებს შორის კონკრეტულ საუბარსა და შეთანხმებას. კონკრეტულად რა საკითხი იყო, ამას ალბათ მოგვიანებით გავიგებთ. ორივე ლიდერი ძუნწი იყო თავის განცხადებებში. თუმცა, ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგებია.

***– სამხრეთ კავკასიაში მშვიდობაზე ისაუბრა პრეზიდენტმა ალიევმა. რაც შეეხება სომხეთთან ფასილიტატორის როლის შესრულებას?***

– მე გამოვრიცხავ, რომ სომხეთთან შუამავლობას შეეხებოდა ეს ვიზიტი. ეს იყო დიპლომატიური ჟესტი, რომელიც გამოიყენა ალიევმა, როგორც გამოცდილმა პოლიტიკოსმა და მადლობა გადაუხადა პრემიერ ღარიბაშვილს. სიმართლე გითხრათ, რთულად წარმომიდგენია, სომხეთმა ყარაბაღი დაივიწყოს და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შერიგება მარტივად მოხდეს, მართალია ახლა მთელი დანარჩენი მსოფლიოს ყურადღება ახლო აღმოსავლეთისკენ არის მიმართული, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა არ არის მთლად მეათეხარისხოვანი. ამ რეგიონში მშვიდობა ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია.

რა თქმა უნდა, ილჰამ ალიევისთვის პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია, ყარაბაღი ყელზე არ დაადგეს და როგორმე მშვიდად გადააგოროს ეს თემა. ამიტომ, დანარჩენი მსოფლიოს თვალში, საქართველოს ღია მხარდაჭერა ფასდაუდებელია. ესეც არ უნდა დავივიწყოთ. ქართულ დიპლომატიას შესაშური შანსები აქვს, რომ გამოიყენოს თავისი შესაძლებლობა და შუამავლის ფუნქცია კიდევ უფრო მნიშვნელოვნად წარმოაჩინოს დანარჩენი მსოფლიოს თვალში. ვნახოთ, ამ მიმართულებით როგორ განვითარდება მოვლენები.

***– არჩილ თალაკვაძემ თქვა, რომ ის გამორიცხავს, ამ ვიზიტის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტს არ ჰქონდა. თუმცა, საგარეო საქმეთა მინისტრი ამ კითხვას განსხვავებულად პასუხობს.***

– სალომე ზურაბიშვილს თუ ალიევის კაბინეტში ჰყავდა თავისი აგენტურა, მაშინ შეიძლება ჰქონოდა. ისე, იმპიჩმენტის ფონზე, საიდან უნდა ჰქონოდა სალომე ზურაბიშვილს ამ ვიზიტის შესახებ ინფორმაცია?! ცხადია, არ ექნებოდა.

***– ბატონო სოსო, კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მინდა გკითხოთ. შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ 2024 წლის არჩევნებზე ამომრჩევლის 90 პროცენტი არჩევანს ელექტრონულად გააკეთებს. რას იტყვით, რამდენად დარჩება პრეტენზიების საფუძველი დამარცხებულს?***

– ელექტრონული წესით არჩევნები, სულაც არ ნიშნავს არჩევნების გაყალბებისგან დაზღვევას. იდეა ძალიან კარგია, მაგრამ ჯერ არ გამოგონილა მექანიზმი, რომელიც სამართლიან არჩევნებს უზრუნველყოფდეს. ეს უნდა იყოს პოლიტიკური კულტურის ნაწილი. არის ქვეყნები, სადაც არჩევნები მამაპაპური წესით ტარდება, მაგრამ არჩევნების გაყალბებაზე საუბარი თავში არავის მოუვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამარცხებულის პოზიცია ამ შემთხვევაში. მე როგორც გავეცანი პოზიციებს, უკვე პრეტენზიები არის. ვნახოთ, როგორი იქნება არჩევნების მეორე დღეს განწყობები. ისე, არჩევნები ყალბდება არა არჩევნების დღეს, არამედ ბევრად უფრო ადრე. ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობიდან მოყოლებული, ჩვენ გვაქვს პრობლემა სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარების. ისეთი არჩევნების, სადაც არც ერთ მხარეს და, რაც მთავარია, ამომრჩეველს არ დარჩება განცდა, რომ რაღაც ისე ვერ არის. ელექტრონული არჩევნები ჩვენთვის ნამდვილად არის ახლი ხილი. ვნახოთ, როგორ გაამართლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთმა ოჩამჩირეში თავისი სამხედრო საზღვაო ბაზის გახსნა თბილისს შეუთანხმა?

## რა კავშირი აქვს კავკასიასა და ისრაელში მიმდინარე მოვლენებს ერთმანეთთან

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებიდან ოკუპირებულ აფხაზეთში რუსული სამხედრო ბაზის შექმნის გეგმა მხოლოდ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გააპროტესტა. მან განაცხადა, რომ „ოჩამჩირეში რუსული სამხედრო საზღვაო ბაზის გახსნა დიდი ნაღმია შავი ზღვის უსაფრთხოების, ხვალინდელი ანაკლიის პორტისა და საქართველოს ევროპული გზისთვის". მანვე რეაგირებისკენ მოუწოდა საქართველოს პარტნიორებს.



რუსეთის ეს გეგმები დაგმო ევროკავშირმა, რომელმაც განაცხადა, რომ თუ რუსეთი გააგრძელებს ამ გეგმების განხორციელებას, ეს რეგიონში სტაბილურობას კიდევ უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნის.

ოჩამჩირეში დამკვიდრებაზე ოკუპანტმა გამოაცხადა მაშინ, როცა ანალიტიკოსები ალაპარაკდნენ რუსეთის გასვლაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან. ამას საფუძველი დაუდო ყარაბაღში განვითარებულმა პროცესებმა, რომლის შედეგად აზერბაიჯანმა მოიპოვა სრული კონტროლი ტერიტორიაზე, რომელსაც იკავებდა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა, ყარაბაღის რესპუბლიკა კი ლიკვიდირებულია.

### ყარაბაღისა და ისრაელის მოვლენები

ზოგიერთი ექსპერტი ისრაელში შექმნილ საომარ მდგომარეობას, იქ მიმდინარე ცხელ ამბებს კავკასიას უკავშირებს. ეს ექსპერტები საუბრობენ აზერბაიჯანსა და ისრაელს შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე, ასევე სომხეთ-ირანის კავშირზე. ცნობილია ისრაელსა და ირანს შორის არსებული მტრობა. მათი დასკვნით, ყარაბაღის სექტემბრის მოვლენების შემდეგ აზერბაიჯან-ისრაელისათვის საპასუხო დარტყმის მიყენება გადაწყვიტა ირანმა, რომელმაც ისრაელზე თავდასხმისათვის პალესტინური „ჰამასი" გამოიყენა.

საქართველოსთვის საყურადღებოა ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენებიც და, რასაკვირველია, პირველ რიგში, კრემლის განზრახვები ოკუპირებულ აფხაზეთში.

### საქართველოს მთავრობა საქმის კურსში იყო?

კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგი გევორგ მირზაიანი ოჩამჩირესთან დაკავშირებულ გეგმებში სამ მომენტს გამოყოფს. მისი ინფორმაციითა თუ ვარაუდით, ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო საქართველოს ხელისუფლებასთან. ის გულისხმობს მთავრობას.

პოლიტოლოგის თქმით, პირველი მომენტია ის, რომ რუსეთი აძლიერებს თავის ფლოტს შავ ზღვაში. მეორე – რუსეთს კარგი ურთიერთობა აქვს აფხაზეთთან და ეს ურთიერთობა განვითარდება. მესამე – ეს აჩვენებს, რომ ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო საქართველოსთან და თბილისი ამას მაინცდამაინც ძლიერად არ ეწინააღმდეგება. ეს ადასტურებს, რომ მოსკოვი და თბილისი აფხაზურ-ოსურ საკითხებზე თანდათან პოულობენ კომპრომისულ ფორმულირებებს.

სხვათა შორის, რუსეთის საგარეო მინისტრმა ლავროვმა ფრენების აღდგენაზეც თქვა, რომ საქართველოს მთავრობასთან არსებობდა შეთანხმება. ეს უარყო პრემიერმა ღარიბაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთმა საქართველოსთან ავიამიმოსვლის აღდგენის გადაწყვეტილება თვითონ მიიღო, თბილისს კი შემდეგ აცნობა და საქართველოს მთავრობა ამას დაეთანხმა.

### რუსეთს სამშვიდობოები გაჰყავს

ყარაბაღის სრულად დაკარგვის, დიდი მსხვერპლის გამო სომხეთი რუსეთს აუმხედრდა და შეიძლება ითქვას, მთლიანად დასავლეთისკენ შებრუნდა.

რა სიტუაციაა ამ მხრივ? ამაზე რუსული რადიო „თავისუფლება" კომპეტენტურ პირებს ესაუბრა. ზოგიერთის აზრით, რუსეთს სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება მხოლოდ სომხეთის ხარჯზე შეუძლია.

**აზა ბაბაიანი, პუბლიცისტი:**

***– იძიებს თუ არა რუსეთი შურს სომხეთზე?***

– მოსკოვს, რასაკვირველია, უნდა, რომ სამაგიერო გადაუხადოს სომხეთს. აქ ერთი პატარა დეტალია – რუსეთს ძალიან არ უნდა სამხრეთ კავკასიის დატოვება. სამხრეთ კავკასიაში ის დარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარჩება სომხეთში. შევიტყვეთ, რომ რუსეთის სამშვიდობოები ყარაბაღში მალე აღარ იქნებიან. ერთადერთი, რაც რუსეთს მიწაზე დააკავებს, ეს არის ბაზა გიუმრიში. კრემლი, პუტინი, ლავროვი და მთელი მათი კომპანია გაბრაზებული არიან სომხეთის ხელისუფლებაზე. მათ იმედი აქვთ, რომ სომხეთში იქნება ახალი ხელისუფლება, რომელსაც მოელაპარაკებიან.

აშკარაა, რომ რუსეთმა სომხეთს უღალატა. ამბობდე, რომ რეგიონში გაქვს სამშვიდობო ძალების ბაზა, გყავს სულ ცოტა 2 000 შეიარაღებული ჯარისკაცი და ამ ტერიტორიაზე ხოცავდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს, ეს იგივეა, რომ ხელი მოაწერო სამშვიდობოების არყოფნას.

რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი, რომელიც იყო ყარაბაღში, ვფიქრობ, ბოლო სამშვიდობო კონტინგენტია. არა მგონია, რომელიმე ქვეყანა ამას დათანხმდეს.

**კირილ კრივოშეევი, ანალიტიკოსი:**

***– მიგაჩნიათ თუ არა, რომ რუსეთი უფრო მკაცრ პოლიტიკას გაატარებს სომხეთის მიმართ?***

– ასეთი ზომები უკვე ტარდება. მაგალითად, შეწყვეტილია ფულადი გადარიცხვები რუსეთიდან სომხეთში „იუნისტრიმის" ხაზით, სომხური კონიაკით სავსე სატვირთო მანქანები დგას ზემო ლარსთან.

რუსეთი ანგარიშს კი არ უსწორებს, უფრო ჯავრს იყრის ფაშინიანზე. სექტემბრის მოვლენების შედეგად რუსეთიც დაზარალდა, ვინაიდან პუტინისთვის სიკეთეა ის, როცა სადმე რუსეთის ჯარისკაცები დგანან. როგორც ჩანს, რუსი ჯარისკაცები მთიანი ყარაბაღიდან გავლენ.

***– ფაშინიანის გადაყენება რანაირად შეუძლია რუსეთს?***

– ფაშინიანმა ვადამდელი არჩევნები დანიშნა. მაშინ საუბრობდნენ, რომ მისი პოზიციები სუსტია. იმასაც ამბობდნენ, რომ ოპოზიციის უკან მოსკოვი იდგა. ოპოზიციონერებმა პირწმინდად წააგეს არჩევნები. ახლა სხვა ვინმეზე ფსონს ვერ დადებენ. სომხეთში ჯერ არ დაბადებულა ლიდერი, რომელიც ახლა ჩაანაცვლებდა ფაშინიანს. ამას ვერავინ შეძლებს, რაც უნდა დაეხმაროს მოსკოვი.

---

სამართალი

## ბექა ბასილაია: „ფრაგმენტ-ფრაგმენტ გვასმენინეს მიხეილ სააკაშვილის სიტყვა, ეს თავიდან ბოლომდე „ვივამედისა" და პენიტენციური სამსახურის უპასუხისმგებლობაა"

ადვოკატ ბექა ბასილაიას განცხადებით, იმ ტექნიკურმა ხარვეზებმა, რაც კლინიკა „ვივამედიდან" საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დისტანციურად ჩართვისას ხდებოდა, სააკაშვილს სიტყვით გამოსვლაში ხელი შეუშალა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა პენიტენციურ სამსახურს და კლინიკას ეკისრება.

– პენიტენციური სამსახურისგან დაბრკოლებების, ბარიერების და ხარვეზების შექმნა არ გვიკვირს. ახლა იყო იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ადამიანს სიტყვით გამოსვლაში ხელი შეუშალო, ფაქტობრივად, ფრაგმენტ-ფრაგმენტ გვასმენინეს მიხეილ სააკაშვილის სიტყვა, ეს თავიდან ბოლომდე „ვივამედის" და პენიტენციური სამსახურის უპასუხისმგებლობაა.

ფაქტია, რომ „ვივამედის" და პენიტენციური სამსახურის პასუხისმგებლობაა, რომ კავშირი უხარვეზო იყოს. როცა ამდენი ხარვეზი ვნახეთ, ეს არანაირ ჯანსაღ ინტერესს არ ემსახურება და ეს პრობლემა მომდევნო პროცესზე არ უნდა დადგეს, – განაცხადა ბასილაიამ.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ 7 ნოემბერს მომიტინგეთა დარბევის ამსახველი ვიდეომასალა წარადგინა. ბასილაიას თქმით, აღნიშნული კადრებით სისტემური ძალადობა არ იკვეთება.

– ჩვენ მოწმეების ხელახლა დაკითხვას ვითხოვდით და ხელახლა გვაყურებინეს ვიდეოები. მარტივი პარალელები შეგვიძლია გავავლოთ, თუ ეს ბრალდების მხარეს დანაშაულად მიაჩნია, 20 ივნისთან დაკავშირებით ერთი პასუხისმგებელი პირი რატომ არაა დაკავებული? ჟურნალისტებს 5 ივლისს რაც მოუწყვეს, ამ სისასტიკის და დანაშაულების ჩამდენები თავისუფლები არიან და კადრებს გვაყურებინებენ, სადაც ბატონი სოზარ სუბარი ამბობს, რომ სასტიკად ნაცემია, პირდაპირ ეთერშია და ერთი დაზიანებაც არ აღენიშნება. ამ კადრებით ჩანს, რომ მიტინგის დაშლა წყლის ჭავლის გამოყენებით მოხდა, საპოლიციო ძალებიც გამოყვანილი იყვნენ, შეიძლება, ერთეულ შემთხვევებში ვინმეს მხრიდან ჰქონდა ძალის გადამეტებას ადგილი, მაგრამ სისტემური ძალადობა არ იკვეთება, განსხვავებით 20 ივნისისა, როცა ადამიანებს თვალებს თხრიდნენ, – განაცხადა ბასილაიამ.

სასამართლო პროცესს კლინიკა „ვივამედიდან" მიხეილ სააკაშვილი დისტანციურად ჩაერთო, თუმცა, ტექნიკური ხარვეზების გამო, მისი სიტყვით მიმართვა, რამდენჯერმე შეწყდა.

---

# „ისრაელმა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან წააგო"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ხართ, მოკავშირე ასე როგორ მიაგდეთ. აი ასეთი განცხადებები ისმის უკვე.

***– არჩევნებია წინ და სულ გადალაგდება და შეიცვლება ვითარება?***

– ვითარება შეიცვლება არა მარტო ამერიკაში, არამედ ისრაელშიც. მსხვერპლი დიდია, საზოგადოება ძალიან უკმაყოფილოა. ისრაელი და ამერიკა დემოკრატიული სახელმწიფოებია, იქ არჩევნები ტარდება და მოწინააღმდეგეები აუცილებლად გამოიყენებენ ამ ფაქტს. თუ ვინმემ იხეირა და აღტაცებულია ამ ყველაფრით ესაა რუსეთი და გარკვეულწილად ირანიც.

***– რამდენად შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს ისლამური სახელმწიფოებისთვის ეს ყველაფერი? არის მოსალოდნელი ტერაქტები და ასე შემდეგ?***

– ამ ეტაპზე, ისლამური სამყაროსთვის მნიშვნელოვანია ისრაელი და არა სხვა ქვეყნები. შესაძლოა, ებრაელების წინააღმდეგ ტერაქტები განხორციელდეს, როგორც ეგვიპტეში მოხდა. ეგვიპტელმა პოლიციელმა მოკლა ორი ებრაელი. თანაც პოლიციელმა. ყოვლად გაუგონარი რამ არის. ვითარება დაიძაბება, მაგრამ მთელი ყურადღება მაინც გადავა ისრაელზე. ისრაელმა კი ამ ყველაფრიდან უნდა გამოიტანოს გაკვეთილები. პალესტინაში მოდის ახალი თაობა და ისინი ყოველთვის ახალ ტალღას დაიწყებენ. რალაცნაირად უნდა მოაგვარონ ეს საკითხი.

გაეროს აქვს მიღებული რეზოლუცია 1948 წლიდან მოყოლებული, რომ ამ ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო უნდა იყოს. ყოველი ახალი დაბადებული პალესტინაში, სწორედ ამ იდეით იზრდება. კი, ახლა ჩაახშობენ ამ ყველაფერს და მოაწესრიგებენ. ყველაფერი დალაგდება და უახლოესი 10 წელი ხმას ვერავინ ამოიღებს პალესტინაში. ახლა განელდება, მაგრამ წლების შემდეგ, როდესაც ახალი თაობა წამოვა?! გარდა იარაღისა, ისრაელმა უნდა გადახედოს თავის პოლიტიკას, როდემდე აპირებს იარაღის ძალით, მუდმივად ჩაახშოს პროტესტები?! ეს დიდი ხნის პრობლემური საკითხია, მოდის პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული და რალაცნაირად უნდა გამოიძებნოს გზები ამ საკითხის გადასაჭრელად. ამ ხელისუფლების შურისძიება გასაგებია, დიდი მსხვერპლია ისრაელში და კიდევ ამდენი ტყვე. თუმცა შემდეგი ხელისუფლება ახალი პროგრამით და ხედვებით უნდა მოვიდეს, როგორ მოაგვაროს ეს საკითხი.

---

# პუტინის ბრძანება ვერ შესრულდა



უკრაინის ტერიტორიაზე ცხარე ბრძოლებია. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა კუპიანსკის მიმართულებით. ოკუპანტები გააფთრებით ცდილობდნენ სენკივკის აღებას. მათი შეტევები მოგერიებულ იქნა. მტრის დანაკარგები საგრძნობია. მსგავსი ვითარებაა ლიმანის მიმართულებითაც. ამაო აღმოჩნდა რუსების ყველა მცდელობა წინ წაწეულიყვნენ.

ცხარე ბრძოლებია დონეცკის ფრონტზე. უკრაინელებმა მოიგერიეს მტრის შეტევები ავდეევკასა და მარინკასთან. კვლავ განხორციელდა დარტყმა დონეცკზე. მტრის რიგებში სერიოზული მსხვერპლია. უკრაინულმა არმიამ მოახერხა დონეცკის ოლქის სამხრეთ ნაწილში ვითარების სტაბილიზაცია. რაც შეეხება ბახმუტს, აქ ოკუპანტებმა კონტრშეტევაზე გადასვლა სცადეს. უკრაინელებმა იერიში აღკვეთეს. მტერმაც უკან დაიხია. უკრაინელებმა ბახმუტის მახლობელ ტერიტორიაზე წინ წაიწიეს და მდგომარეობა გაიუმჯობესეს.

საინტერესო სიტუაცია შეიქმნა ზაპოროჟიეს ოლქში. უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას მელიტოპოლისაკენ. უკრაინელებმა წინ წაიწიეს რობოტინოსთან. რუსებმა ამას რობოტინოს დაბომბვით უპასუხეს. რაც შეეხება ხერსონის ოლქს, აქ უკრაინელებმა კიდევ რამდენიმე კუნძული დაიკავეს. პასუხად რუსებმა ხერსონი დაბომბეს. დაიღუპა რამდენიმე ბავშვი და ერთი 70 წლის ქალბატონი.

უკრაინელები ოკუპანტებს მიზანმიმართულად სიქას აცლიან. ზამთრის მოახლოება კი რუსეთს სავალალო მდგომარეობაში აყენებს. კონტრშეტევაზე გადასვლა ვერ ხერხდება. რუსეთის არმიას სტეპებში ზამთრის გატარება, ანუ გაყინვა ემუქრება.

რუსეთის დიქტატორმა, ვლადიმერ პუტინმა ბრძანება გასცა, რომ ომში გარდატეხა შეეტანათ. გარდატეხა უნდა დაწყებულიყო კუპიანსკის აღებით. შემდეგ რუსეთის არმია გააგრძელებდა წინსვლას ხარკოვის ოლქის სიღრმეში.

რუსეთის არმია ბევრს ეცადა კუპიანსკის აღებას. კუპიანსკთან დიდი ძალები გადაისროლეს. მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა ვერავითარ წინსვლას ვერ მიაღწიეს. თვით სოფელი სენკივკაც კი უკრაინელთა კონტროლქვეშ დარჩა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# „დედას გახვრეტილი ქვა თოკით ჰქონდა ჩამოკიდებული კისერზე, რათა შვილი გადასახლებიდან ცოცხალი დაბრუნებოდა“

ძველი თაობის ხალხს ახსოვს 1938 წელს გამოცემული, „ივერიიდან“ ამოკრეფილი ბრძნული აზრების კრებული „დამაკვირდი“. ამ წიგნის შემადგენელი, რედაქტორი და შენიშვნების ავტორი გახლდათ ლიტერატორი ალექსანდრე სიგუა. მას იმთავითვე ცნობილ პიროვნებებთან ახლოს ყოფნა დაებედა, ამას სათავე ჯერ კიდევ ბავშვობიდან დაედო. მისი უმცროსი ძმის ნათლია იყო ბერთემელი ბესარიონ დავითის ძე დადიანი. ბესარიონმა საშას დედას უთხრა, საშა გამატანე, აღვზრდიო. 1919-21 წლებში საშა დადიანების ოჯახში იზრდებოდა. ბესარიონ დადიანის სარეკომენდაციო ბარათმა, რომელიც თბილისში გამოატანა, საშას შალვა დადიანის მფარველობა მოუტანა. 1926 წლიდან ნიკო ნიკოლაძის ოჯახშიც ხშირად უწევდა ყოფნა.

ალექსანდრე სიგუამ დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. სწავლის პერიოდში 1930 წლის ზაფხულში ალექსანდრე ორთვიან სამხედრო მომზადებას გადიოდა ვაზიანში. სამხედრო საქმის სწავლების დროს ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ალექსანდრე ცოტა თავშეუკავებელი იყო თავისი პატრიოტული გრძნობების გამოხატვაში, რომაც ბევრჯერ კინაღამ დაღუპა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ვაზიანში, სამხედრო ბანაკში მომხდარი ამბავი: 1930 წლის 7.IX გაზეთ „წითელარმიელში“ დაიბეჭდა წერილი: „როგორ ესმის სიგუას ნაციონალური საკითხი: „მეცადინეობის დროს ამხანაგმა შაპოშნიკოვმა აღნიშნა: „საუკეთესო ნაყოფს მოგვცემს მეცადინეობა იმ შემთხვევაში, თუ რომ სხვადასხვა ეროვნების წითელარმიელები (რუსები, სომხები და სხვა), რომლებმაც ქართული არ იციან, იმეცადინონ ცალ-ცალკე ჯგუფებად თავიანთ ენაზეო. სიგუამ შაპოშნიკოვის საპასუხოდ ასე განაცხადა: თქვენ თუ ქართული ენა არ მოგწონთ, რუსეთში მიბრძანდით, სომხები კი ერევანისა და ლენინაკანისკენ გზას გაუყვნენო“.

ამის შემდეგ, სიგუას სასთუმალქვეშ ამოდებული დღიური მოპარეს. არც იქ ჩაწერილი აზრები მოეწონათ და სასამართლო მოუწყვეს. მაშინ საშა მოსამართლე ფირცხალავამ გადაარჩინა. მოსამართლემ უთხრა: არ შემეწინააღმდეგო, რაც გითხრა, დაადასტურეო. მოსამართლეს შტაბის წარმომადგენელი კვირკველიაც მიეშველა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საშა შტაბს მიემაგრებოდა გამოსასწორებლად. იქვე, ვაზიანში სიგუას გამოეცნაურა შალვა ლანდია, რომელიც აკვირდებოდა საშას მსჯელობას, ქცევას. მასში დაინახა საქართველოს ბედით დაინტერესებული, სანდო ადამიანი და დაუმეგობრდა. შემდეგ ბინაშიც აკითხავდა და პროკლამაციებს აცნობდა. ლანდიას თავის ბინაში პატარა სტამბა ჰქონდა, სადაც ამრავლებდა პროკლამაციის ტექსტებს.

ტექსტები ნოე ჟორდანიას ხელმოწერით საზღვარგარეთიდან მოდიოდა. სტამბაში მუშაობდნენ ასოთამწყობები რომანოვი და ჯალალანიას ქალი. პროკლამაციებს შალვას და, ლარისა, ონში ავრცელებდა. პროკლამაციების გავრცელება სიგუამაც დაიწყო. თავის მშობლიურ სოფელში გლეხებს პროკლამაციების ენით ესაუბრებოდა.

1930 წელს ლანდიამ სიგუას შესთავაზა საზღვარგარეთ გასვლა, რათა იქიდან წამოეღო საპროპაგანდო მასალები. სულ ხუთნი გავიდნენ, მაგრამ სიგუას გზაზე მუცლის გვრემა დაემართა, რომელიღაც ეკლესიის ბერმა უმკურნალა, მაგრამ ვერ უშველა. სიგუა იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო.

სიგუა პოეტმა ნიკოლო მიწიშვილმაც დაიახლოვა, როგორც საიმედო პიროვნება. დროთა განმავლობაში მიწიშვილი საშას მფარველი გახდა. ერთხელაც ნიკოლომ ზემოაღნიშნულ ბერთან წიგნებიც გააგზავნინა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩეკას არ გამოპარვია. როგორც ჩანს, ბერიამ ყველა ნაბიჯი იცოდა მიწიშვილის შესახებ, ისიც, რომ მიწიშვილს ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთთან და ამ საქმეში სიგუასაც იყენებდა. ამის დამადასტურებელი მაგალითია ის, რომ ბერიამ მიწიშვილი დაიბარა და უთხრა, ბერებთან წიგნების გაგზავნას თავი დაანებეო.

1937 წელს გიორგი ნიკოლაძემ, მამამისის რჩევით, საშა პარიზში წაიყვანა. იქ 15 დღე დარჩა. ლევილში გაიცნო იქ მყოფი ქართველები. მეორედ გიორგი ნიკოლაძის დისერტაციის დაცვისას წაიყვანეს. მესამედ კი ლანდიამ გაუშვა პროკლამაციების ტექსტების ჩამოსატანად. ამასობაში სტამბა აღმოაჩინეს. ლანდია დააპატიმრეს, 4 წელი მიუსაჯეს. ურალში გადაასახლეს, ქალაქ შატრინსკში ექიმ-გინეკოლოგად მუშაობდა. იქიდან რომ დაბრუნდა, ახალქალაქში გაანაწილეს. ჰოსპიტალში მუშაობდა. იქ პოლკოვნიკის ჩინზე წარადგინეს, მაგრამ ვილაცამ დააბეზღა. გაუხსენეს მღვდლის შვილი და გადასახლებაში ნამყოფი რომ იყო და რამდენჯერმე დაიბარეს საგანგებო განყოფილებაში. სამსახურიდანაც მოხსნეს. ამას ახალი რეპრესიების შიშიც დაერთო და ლანდიამ 1950 წელს თავის ბინაში თავი ჩამოიხრჩო.

სიგუას რთული გზა ხვდა წილად. გიორგი ჯიბლაძემ პარტიული სიფხიზლე გამოიჩინა და, მაშინდელი მოთხოვნების შესაბამისად, თსუ-ს ხელმძღვანელობას მიანიშნა, რომ მისი კურსელი სიგუა მენშევიკი იყო და ჰალსტუხს იკეთებდა. ამიტომ, სიგუას სტიპენდია მოუხსნეს. გიორგი თავზიშვილმა აღუდგინა სტიპენდია ბესო ლომინაძის დახმარებით. უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, მისმა მფარველმა ნიკოლო მიწიშვილმა წაიყვანა „სახელგამში“, მხატვრული ლიტერატურის გამოცემის განყოფილებაში – რედაქტორად დანიშნა. ეს მოხდა 1933 წელს. 1940 წლის აპრილში კი ალექსანდრე სიგუა დააპატიმრეს. როდესაც შინსახკომის უფროსთან რაფავასთან შეიყვანეს, რაფავამ ჩაილაპარაკა, კარგია, რომ ეს არტისტი მოიყვანეთო. ყველაფერი უამბე გამოძიებას, რას აკეთებდი მიწიშვილთან, გორდელაძესთან და ტიციან ტაბიძესთანო.

შინსახკომში იდო ბენო გოგუასა და ლეო კანდელაკის მოხსენებითი ბარათი – ალექსანდრე სიგუა ხელოვნების საქმეთა კომიტეტში მენშევიკურ რეციდივებს ამჟღავნებაო. სიგუამ არაფერი თქვა, მაგრამ, როცა აწამეს, მაშინ ახსენა მხოლოდ გარდაცვლილი ტიციანი და პაოლო, ისინი ნაციონალისტად მზრდიდნენო.



1940 წელს ოქტომბერში გაასამართლეს. გაფრთხილებული იყო – რომ სცემეს, სასამართლოზე არ ეთქვა. მაგრამ მაინც იყვირა, ყველაფერი ცემა-ტყეპითაა გამოგლეჯილი და დაწერილიო. მოსამართლემ, მაშინ ხელმეორე გამოძიებას ვნიშნავო. ალექსანდრე მთლად გამწარდა: არა, რაც გინდათ მომისაჯეთ, ისევ ცემაწამების გადატანა აღარ შემიძლიაო. 8 წელი მიუსაჯეს. ნოემბერსა თუ დეკემბერში სტოლიპინის ვაგონით ბაქოში გადაიყვანეს. ვაგონში 15 კაცი შეყარეს. ორმა პატიმარმა, რომლებიც ყველას ყველაფერს ართმევდნენ, სიგუას ჰკითხა, რადგან წვერი ჰქონდა მოშვებული: გურჯი ხარ? კიო. მელიას იცნობ (მელია ცნობილი ქურდი იყო), კიო, იცრუა სიგუამ. ქურდებმა მას ხელი არ ახლეს. 10 დღის მერე ბარჟით ბაქოდან კრასნოვოდსკში გადაიყვანეს მერე კი ვიატკის ბანაკში. ყველა ქართველს №6 ბანაკში გზავნიდნენ. საშინელი ადგილი იყო. პატიმრებს ხეებს აჭრევინებდნენ, გზის გაყვანაზე ამუშავებდნენ. სიგუამ იქ 1949 წლამდე დაჰყო. გამოიარა წამების, ცემის და აბუჩად აგდების დღეები. პატიმარს სულის ამოხდომამდე ერთი ნაბიჯი როცა რჩებოდა, ბანაკის უფროსი ჩამოივლიდა, ასეთ ხალხს გამოარჩევდა და ბანაკის გარეთ დასასახლებლად ანთავისუფლებდა. მათ არ უნდოდათ ბანაკს მითვლოდა გარდაცვლილი ტუსაღები და ამიტომ ჩამოწერდნენ... ასე ჩამოწერეს საშაც, მაგრამ მავთულხლართებს იქით, სოფელში ერთმა ღვთისნიერმა ქალმა გადაარჩინა, მოუარა. საშა მოწმეა, რომ ასევე ჩამოწერეს ქართველი სოციოლოგი კიტა მეგრელიძე, ავტორი ნაშრომისა „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“. კიტა მეგრელიძე გარდაიცვალა შიმშილისგან დასიებულ-დაყვითლებული, მუცლის გვრემა-აშლილობისგან დაშრეტილი.

საინტერესო ის არის, რომ მთელი პატიმრობის განმავლობაში, სიგუას დედას გახვრეტილი ქვა (თითქმის ერთ კილოს რომ იწონიდა) კისერზე თოკით ჰქონდა ჩამოკიდებული.

დედა მანამდე ატარებდა ქვას, ვიდრე შვილი ცოცხალი არ დაუბრუნდა. საშა გადასახლებიდან როცა დაბრუნდა, დედამისმა კისრიდან მოიხსნა ქვა და შვილის თვალწინ ჩაქუჩით დაამტვრია. დაბრუნებულ საშას თბილისში ცხოვრების უფლება არ მისცეს. ამიტომ მშობლიურ მარტვილში, დედასთან ცხოვრობდა მანამდე, სანამ ხელისუფლებას არ დასჭირდა თბილისის ტელეფონების წიგნის ქართულ ენაზე შედგენა. სიმონ ჩიქოვანს კავშირგაბმულობის მინისტრ მონიავასთვის უთქვამს, ამას სიგუა შეძლებსო. მონიავამ მოაგვარა სიგუას თბილისში ცხოვრება. 1951 წელს წიგნი გამოიცა. ჰონორარის მიღების დროს სიგუას მოუწყვეს პროვოკაცია, რაც მისი მეორედ დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ამას დაემატა გამოგონილი „მეგრელების საქმეც“ და 1951 წელს აპრილში საშა რუსთაველის გამზირზე დააპატიმრეს.

„მე რომ მცოდნოდა, დამაპატიმრებდნენ, უსათუოდ თავს მოვიკლავდი, ვინაიდან ვიცოდი, თუ რა ტანჯვა-წვალება მომელოდა გამოძიებისა და დაკითხვის დროს“, – წერდა შემდგომ საშა სიგუა. დაჭერილი სიგუა ნიკოლოზ რუხაძემ (შემდეგ უშიშროების მინისტრი გახდა) დაკითხა: რას დადიხარ ბერიას დის, კვარაცხელიას ბინაში, კიროვის ქუჩაზეო. როცა სიგუამ უთხრა, არ დავდივარო, რუხაძემ ისეთი გაარტყა, რომ საშა მაგიდის ქვეშ შეაგდო. მერე გამომძიებელი ლარიბაშვილი (შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი) ეკითხებოდა: შენთან ცნობილი ადამიანები რომ დადიოდნენ, რაზე საუბრობდითო? ლიტერატურაზეო, – უპასუხა სიგუამ. ახლა ამან ხეთქა, შენ ადრე მიწიშვილთან და ტაბიძესთან ერთად უნდა დაგვეპატიმრებინე, მაგრამ მაშინ ციხეში ადგილები არ იყოო. მერე საკანში 4 საათი ჟაკი ბალახაშვილი ჩაუსვეს. ეს კაცი იყო ნიჭიერი ლიტერატურათმცოდნე, მაგრამ საეჭვო ადამიანური ღირსების კაცი. ჟაკი პირზე წაუყენეს სიგუას. დამსმენის თქმით, სიგუა ცისფერყანწელების შეხედულებებს იზიარებდა.

საშამ სახეში გაარტყა ჟაკს. ამის შემდეგ ორჯერ დააპირისპირეს ერთმანეთს ჟაკი და სიგუა. მაგრამ ჟაკი მავთულის ბადის იქით იდგა. სიგუას ფეთქებად ხასიათზე მეტყველებს ერთი ამბავიც, რომლის მომსწრე მწერალი ლევან ხაინდრავა ყოფილა. ისინი ერთ საკანში ისხდნენ 1951 წელს შინაგან ციხეში. ერთხელ პროკურორ ლომინაძეს შემოვლისას უთქვამს, ბალლინჯოები ხომ არ გაწუხებენო. ნერვებმოშლილ საშას უთქვამს: შე მამაძაღლო, აქ ცემით გვკლავენ და შენ ბალლინჯოებს კითხულობო. გამწარებულმა სიგუამ პროკურორს „პარაშაც“ ესროლა. პატიმრის ამ საქციელს კარგი შედეგი არ მოჰყოლია. სიგუა კრასნოიარსკის მხარეს გაგზავნეს. მისი მისამართი იყო: „კრასლაგ“, ჩილიმჩე, ტაიგა. გადასახლებაში ყოფნის დროს გარდაეცვალა ძმა – პარმენი და დედა. მათი დაკარგვა საშამ მძიმედ განიცადა. იგი გადასახლებიდან 1954 წელს დაბრუნდა, ნატანჯი და გაუბედურებული.

სიგუა 1957 წელს გაამართლეს. შალვა დადიანმა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმზე წაიკითხა სიგუას რეაბილიტაციის ცნობა.

მედიცინა

# ჰიპერტონია შეუმჩნევლად გვეპარება

ჰიპერტენზია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებას გულ-სისხლძარღვთა დაავადებებიდან. ჰიპერტონული დაავადებით დაავადებულია ჩვენი პლანეტის ყოველი მეხუთე ადამიანი. ეს მაჩვენებელი საქართველოში უფრო მეტია.



ამ დაავადების ვერაგობა ის არის, რომ ვითარდება შეუმჩნევლად თვითონ დაავადებულისთვის, ადამიანს აწუხებს ეპიზოდური თავის ტკივილები, გაღიზიანებადობა, თავბრუსხვევა, უქვეითდება მეხსიერება და შრომისუნარიანობა. დასვენების შემდეგ ეს სიმპტომები კლებულობს და უბრალოდ, დაღლას მიაწერენ ხოლმე, რის გამოც წლების განმავლობაში ექიმს არ აკითხავენ. დაავადება კი ვითარდება, თავის ტკივილები და თავბრუსხვევები რეგულარულ ხასიათს იღებენ.

არტერიული ჰიპერტენზია ხასიათდება სისხლის არტერიული წნევის მატებით სისხლის მიმოქცევის დიდ წრეში, რასაც შემდგომში მივყავართ სხვადასხვა შინაგანი ორგანოების დაავადებებამდე.

ჰიპერტონული დაავადება დასაწყისში დაკავშირებულია თავის ტვინის ზოგიერთი ნაწილის და ვეგეტატიური კვანძების ფუნქციონირების დარღვევასთან, რომლებიც არეგულირებენ გულის შეკუმშვების სიხშირეს, თითოეული შეკუმშვის დროს გადატყორცნილი სისხლის მოცულობას, სისხლძარღვების გამავლობას და მათი კედლის ელასტიურობას. ამ ეტაპზე ცვლილებები კიდევ შექცევადია. თუ დაავადება ვითარდება, ფუნქციონალურ დარღვევებს ემატება შეუქცევადი მორფოლოგიური ცვლილებები: არტერიების ათეროსკლეროზი, მიოკარდიუმის ჰიპერტროფია და სხვ.

მიზეზები: არტერიული წნევის მატების უშუალო მიზეზები დაავადების სხვადასხვა ფორმის დროს პირობითად განსხვავდებიან. ეს შეიძლება იყოს ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, იონური ცვლის და სხვ.

10-15% შემთხვევებში ჰიპერტონული დაავადება დაკავშირებულია გულზე ადრენალინის გაძლიერებულ მოქმედებასთან (სტრესის ჰორმონი). გულის შეკუმშვების სიხშირე მატულობს. ის გაისვრის მეტი რაოდენობით სისხლს და წნევა იზრდება, სწორედ ამიტომ, ფსიქოლოგიური გადატვირთვა არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

ნატრიუმის მომატებული შემცველობა სისხლში აგრეთვე ზრდის წნევას, რადგან ამ დროსაც გული ერთ შეკუმშვაზე გადაისვრის ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობით სისხლს.

კალციუმის მაღალი შემცველობის დროს ავადმყოფს უვითარდება გლუვი მუსკულატურის სპაზმი, მათ შორის, იმ კუნთებისაც, რომლებიც სისხლძარღვებს აკრავს. შედეგად ირღვევა სისხლის მიმოქცევის რეგულაცია.

20-25%-ში დაავადება დაკავშირებულია არტერიების სკლეროზთან და ათეროსკლეროზული ფოლაქების გაჩენასთან სისხლძარღვთა კედლებზე. სისხლძარღვების არხი ვიწროვდება და ნორმალური წნევის შენარჩუნებისთვის გულს უწევს უფრო დიდი ძალით გადენოს სისხლი, რაც წნევის მატებას იწვევს.

თირკმელების სისხლით მომარაგების დარღვევის შემთხვევაში თირკმელი გამოჰყოფს აქტიურ ნივთიერებებს, რაც ხელს უწყობს არტერიული წნევის მატებას.

ზოგიერთი პრეპარატის მუდმივი მიღება ხელს უწყობს არტერიული წნევის მატებას. მათ შორისაა:

ორალური კონტრაცეპტივები, ჰორმონების დიდი შემადგენლობით;

აბები მადის დასაქვეითებლად;

გლუკოკორტიკოიდები (პრედნიზოლონი, დექსამეტაზონი, სხვა);

მთელი წყება ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (ინდომეტაცინი და სხვა). კლასიფიკაცია

მეცნიერებმა რამდენიმე განსხვავებული კლასიფიკაცია შეიმუშავეს ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით.

პირველი იყო კლასიფიკაცია ავადმყოფის გარეგანი შეხედულებით; დღეს ეს კლასიფიკაცია ისტორიული მნიშვნელობისაა. დანარჩენებია: დაავადების წარმომავლობით, არტერიული წნევის დონით, ორგანოების დაზიანების დონით.

ძირითადად გავრცელებულია დაავადების წარმოშობით შექმნილი კლასიფიკაცია, სადაც ანსხვავებენ პირველად (იგივე ესენციურ, იდიოპათიურ) ჰიპერტენზიას, რომელიც წარმოადგენს ჰიპერტონულ დაავადებას და სიმპტომურ ჰიპერტონიას, რომელიც ავადმყოფთა 10%-ს აქვს და ის უკვე არსებული სხვა დაავადების ფონზე აღმოცენდება.

ევროპის ქვეყნებში უფრო მიღებულია კლასიფიკაცია არტერიული წნევის სიდიდით, რომელიც ძირითადად დიაგნოსტიკის დროს გამოიყენება. მაშ ასე:

მსუბუქი ჰიპერტონია – არა უმეტეს 140/90 ვწყ.ს.მმ, რომელიც არ საჭიროებს მედიკამენტოზურ მკურნალობას.

საშუალო ჰიპერტონია შეესაბამება 1-2 სტადიას კეთილთვისებიანი დაავადების განვითარებას და აღწევს 180/110 ვწყ.ს.მმ-მდე.

მძიმე ფორმაში იგულისხმება ავთვისებიანი ჰიპერტონია ანუ მე-3 სტადიის, რომელიც მიმდინარეობს გართულებებით და ცუდად ექვემდებარება მედიკამენტოზურ კორექციას (180/110-ზე მეტი).

ჰიპერტონული დაავადების განვითარებაში დიდ როლს თამაშობენ ე.წ. რისკფაქტორები: ფსიქო-ემოციური სტრესი, თამბაქოს წევა, სიმსუქნე, ენდოკრინული სისტემის ფუნქციის დარღვევები, თირკმლის დაავადებები, ასაკის მატება, მემკვიდრეობა, საკვები მარილის ჭარბი რაოდენობა, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება და სხვა.

ჩივილები არტერიული ჰიპერტენზიის დროს მრავალგვარია და მის არსებობას მოწმობს შემდგომი ჩივილები:

საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა, თავის ტკივილი – უმთავრესად კეფის არეში, პერიოდულად ჰაერის უკმარისობა, თავბრუსხვევა, გულისრევა, ღებინება, ნერვული აღგზნებულობა, ხასიათის ხშირი ცვლა, ძილის დარღვევა, ცხვირიდან სისხლდენები. ეს ჩივილები ყველას არ უვითარდება და ძალიან ბევრი თავისი დაავადების შესახებ გებულობს შემთხვევით, უბრალოდ, წნევის გაზომვის დროს.

### მკურნალობა

მკურნალობის მიზანია მოხდეს არტერიული წნევის ნორმალიზება დღე-ღამის რეჟიმით. ამიტომ ყოველი ავადმყოფი უნდა იმყოფებოდეს ექიმის დაკვირვების და მეთვალყურეობის ქვეშ. მსუბუქი ჰიპერტენზიების დროს საკმარისია ცხოვრების წესის შეცვლა და ე.წ. რისკ-ფაქტორების შემცირება, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში მედიკამენტოზური მკურნალობა.

# ვინ დგას ჰამასის ბოევიკების უკან?



ექსტრემისტულმა ორგანიზაცია „ჰამასმა“ აქტიური საომარი მოქმედებები დაიწყო. ღაზას სექტორში ნამდვილი ომი გაჩაღდა. „ჰამასის“ მებრძოლები ბომბავენ ქალაქებს, მათ შორის ისეთ ობიექტებსაც, როგორიცაა საავადმყოფოები, პურსაცხობები, ენერგოობიექტები. ისინი ებრაელებს სახლებში უვარდებიან, აჭრიან ყურებს, თხრიან თვალებს და ა.შ.

ისრაელის არმიამ დაიწყო ოპერაცია „რკინის მახვილი“. ის მიზნად ისახავს ტერორისტების განდევნას. ისრაელის სამხრეთი ნაწილი უკვე გაწმენდილია „ჰამასის“ ბოევიკებისგან. ისრაელს თანადგომა გამოუცხადა მთელმა დემოკრატიულმა სამყარომ, მათ შორის, მისმა ლიდერმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ისრაელის გართულებული მდგომარეობა მთელი მსოფლიოს მსჯელობის საგანი გახდა. აქედან განსაკუთრებით აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ექსპერტების დასკვნები უნდა გამოვყოთ. ისინი თვლიან, რომ რუსეთი ღაზას სექტორში განვითარებულ პროცესებს გამოიყენებს და შეეცდება, მსოფლიო თანამეგობრობა უკრაინის წინააღმდეგ აამხედროს, აქაოდა დასავლეთი ე.წ. უკრაინელ ნაცისტებს ეხმარება, ამასობაში კი ექსტრემისტები ებრაელებს ხოცავენო. ამ თეზისს მთლიანად იზიარებს უკრაინელი ექსპერტი ჟდანოვი.

ალსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთში ომის დაწყებას წინ უძღოდა აშშ-ში შათდაუნის გამოწვევის მცდელობა, აშშ-ის კონგრესის სპიკერობიდან მაკარტის გადაყენება და ა.შ. ყველაფრის კულმინაცია კი ტრამპისა და მისი თანამოაზრეების მიერ უკრაინისათვის დახმარების შეწყვეტის მოთხოვნა იყო.

აშშ-ში განვითარებულ პროცესებს თან დაერთო აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ, სლოვაკეთში ჩატარებული არჩევნებიც. მათში, როგორც ცნობილია, პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს. ახალი მთავრობის პირველი განცხადებაც უკრაინისათვის ყოველგვარი დახმარების შეწყვეტა იყო.

ამრიგად, მოსკოვში ახალი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის იმედი აქვთ. თუმცა ახლა 21-ე საუკუნეა და საკითხებიც ასე არ წყდება.

დღეს მთელს ცივილიზებულ კაცობრიობას სწორედ ვაშინგტონის ძალის, პატიოსნებისა და პრინციპულობის იმედი აქვს.

ისრაელის არმიამ გააძევა ჰამასის ბანდები რიგი დასახლებული პუნქტიდან, რომლებიც მოულოდნელი თავდასხმის შედეგად ბანდიტებმა დაიკავეს.

ლივანში აქტიურად მოქმედებს ბანდიტური დაჯგუფება ჰესბოლა. ის ისრაელს მიიჩნევს თავის მტრად. ისრაელის მთავრობამაც გადაწყვიტა, დაიწყოს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია ლივანის საზღვრიდან.

– ისრაელის პრემიერი ნეთანიაჰუ ესაუბრა აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს, ბრიტანეთის პრემიერ სუნაკს, იტალიის პრემიერ მელონის, უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის და რუსეთის დიქტატორ პუტინს. პუტინს შექმნილ სიტუაციაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

## აშშ ისრაელს ეხმარება



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი ისრაელის გვერდით დგას და ამ მძიმე დღეებში ისრაელს დახმარების ხელს უწვდის.

– ისრაელის მთავრობამ დახმარებისათვის მოგვმართა. ჩვენც მას აუცილებლად დავეხმარებით, – აცხადებს ბლინკენი.

## ტრამპისტების მორიგი პროვოკაცია



აშშ-ის კონგრესში ანტიუკრაინული პროვოკაციები გრძელდება. ექსპრეზიდენტ ტრამპის თანამოაზრემ, მარჯორი გრინმა განაცხადა, რომ პალესტინელებს იარაღი თურმე უკრაინამ მიაწოდა.

ქალბატონმა მარჯორიმ უკრაინისათვის დახმარების დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი

## ვეშაპმა გადააყირავა ნავი, რომელშიც ორი მამაკაცი იმყოფებოდა



ავსტრალიაში ორი მამაკაცი მას შემდეგ აღმოჩნდა წყალში, როდესაც მათ ნავს ვეშაპი დაეჯახა.

ავსტრალიელები ძრავიანი ნავით ახალი სამხრეთ უელსის შტატში მდებარე კეიპ-ბენქსის კონცხთან მიცურავდნენ, როდესაც მათი მცურავი საშუალება ვეშაპმა გადააბრუნა. მომხდარიდან 45 წუთის შემდეგ ცარიელი ნავი სამაშველო სამსახურმა აღმოაჩინა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა მამაკაცები წყლიდან ამოიყვანეს. ერთ-ერთი მათგანი, 61 წლის მამაკაცი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი რეანიმირების ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. მეორე, 53 წლის მამაკაცს სამედიცინო დახმარება გაეწია, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს.

## მოდელი საკუთარ ნიშნობაზე ეროტიკულ სამოსსა და საცვლების გარეშე გამოცხადდა



ავსტრალიელი მოდელი და ბლოგერი ემ დევისი საკუთარ ნიშნობაზე ეროტიკულ სამოსში გამოწყობილი მივიდა. ამის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში მის გვერდზე გამოქვეყნდა.

ფოტოსურათებში ქალაქ პერტის მკვიდრი, 28 წლის მოდელი ატლასის თეთრ გრძელ კაბაშია გამოწყობილი, რომელშიც მას ზურგი და მკერდის ნაწილი მოშიშვლებული აქვს, ასევე კაბას გვერდით აქვს ჩაჭრილი, რომელიც მის თეძოს აშიშვლებს, მის კისერს კი ვარდის ფორმის სამკაული ამშვენებს.

გარდა ამისა, მოდელს უკან შეკრულ თმებში ჩაბნეული აქვს მოოქროვილი სამკაულები, ფეხზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია და ამ ყველაფერთან ერთად ის საცვლების გარეშე იმყოფება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## დაკავებულმა მამაკაცმა პოლიციის თანამშრომელში პორნომოდელი ამოიცნო

საგზაო პოლიციის თანამშრომელმა ქალმა გააჩერა მანქანის მძღოლი, რომელიც მოზრდილებისთვის განკუთვნილ ვებ-გვერდზე მისი ხელმომწერი აღმოჩნდა.




ამერიკის მინეპოლისის ქალაქის პოლიციამ საკუთარ თანამშრომელთან მიმართებაში გამოძიება დაიწყო, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ამავე დროს ფულს პორნომოდელობითაც გამოიმუშავებს. მან გზაზე გააჩერა ავტომობილი, მძღოლის საბუთების შესამოწმებლად და რომელიც შემთხვევით მისი გვერდის ხელმომწერი გამოდგა. ახლა გამომძიებლებს იმის დადგენა მოუწევთ, პოლიციის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი შიდა განაწესის დარღვევას ჰქონდა თუ არა ადგილი.

დაკავებულმა მამაკაცმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას დაახლოებით ათი წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ 35 წლის პოლიციის თანამშრომელში ის გოგონა ამოეცნო, რომლის ეროტიკულ და პორნოფოტოებსა და ვიდეოებს ვებ-გვერდზე ხუთი თვის განმავლობაში ნახულობდა. ხოლო როდესაც მიხვდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე, მისი მითითებების დამორჩილებაზე უარი განაცხადა.

– არ მსურდა, რომ მას დავეპატიმრებინე, ვინაიდან წუხელის 29,9 დოლარად ვიდეოში ვუყურებდი, თუ როგორ ჰქონდა სექსი თავის მეუღლესთან. უბრალოდ, პატივს ვერ ვცემ პოლიციის იმ განყოფილებას, რომელშიც ის მსახურობს, – განუცხადა მამაკაცმა ჟურნალისტებს.

მინეაპოლისის პოლიციის უფროსი ბრაიენ ო,ჰარა პირადადაა ჩართული შიდა განაწესის დარღვევის გამოძიებაში და საბოლოოდ სწორედ მას მოუწევს გადაწყვეტილების მიღება, დარჩება თუ არა ქალი პოლიციაში.

## განძის მაძიებელმა სამეფო ოჯახის წევრის ძვირფასი ნივთები იპოვა

ავსტრალიელმა განძის მაძიებელმა წყალსატევის ფსკერზე იპოვა სეიფი, რომელშიც სამეფო ოჯახის წევრის ძვირფასი ნივთები ინახებოდა.



განძის მაძიებელი, სახელად ლი წყალში და მიწაში განძის ძიებითაა დაკავებული. მან 15 წლის წინ პირველად მონეტები ბონდი-ბიჩის პლაჟთან წყალში იპოვა, რის შემდეგაც ეს საქმიანობა მის დიდ გატაცებად იქცა, ხოლო საკუთარ თავს „ბონდის განძის მაძიებლად“ მოიხსენიებს.

– ადრე სერფერი ვიყავი და მთელ მსოფლიოში ტალღებს დავდევდი. ახლა კი მთელ მსოფლიოში დაკარგულ ძვირფასეულობას ვეძებ, – ამბობს ავსტრალიელი.

მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ლი მეგობრებთან ერთად განძს თოკზე დაკიდებული მაგნიტის გამოყენებით წყალსატევის ფსკერზე ეძებდა, რა დროსაც სეიფს მიაგნო. მან ის წყლიდან ამოიტანა და გახსნა. სეიფში იდო საზღვარგარეთის პასპორტები, საბუთები, გასაღებები, ცარიელი ზარდახშა ძვირფასეულობებისთვის და სხვა პირადი ნივთები.

– ჩვენ საბუთებში ჩაწერილი სახელი და გვარი მოვძებნეთ და გავარკვიეთ, რომ ისინი სამეფო ოჯახის წევრს ეკუთვნოდა, – განმარტა მამაკაცმა.

ლიმ ნაპოვნი ნივთების შესახებ პოლიციას აცნობა. საქმეზე გამოძიება დაიწყო და სწორედ ამიტომ განძის მაძიებელს ჯერჯერობით სამეფო ოჯახის წევრის ვინაობის გამხელა არ შეუძლია. ის თავად დაუკავშირდა სოციალური ქსელის დახმარებით ნივთების პატრონს, რათა ისინი მის მფლობელს დაუბრუნოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

## ბათუმის დინამომ მდევართან სხვაობა გაზარდა

**საბურთალო-დინამო (ბთ) 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ჩადუნელი, ჯინჯოლავა, კომახიძე (ციცქიშვილი 81), ქარდავა, ო.მამაგეიშვილი, გ.მამაგეიშვილი (სილაგაძე 69), ლ.ნონიკაშვილი, ტაბატაძე, სიხარულიძე (ჩამბა 64)

**დინამო:** კვასხვაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, ხარაბაძე (ჩაბრაძე 56), მოსიაშვილი, ბიძინაშვილი (ტეიდი 82), ზარია, ლუდუშაური, ფლამარიონი (თ.კაპანაძე 74), ვაწაძე (წიტაიშვილი 56)

მიხეილ მესხის სტადიონზე გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ. ხუთი თამაშია, რაც საბურთალოს გოლი არ გაუტანია, მაგრამ გუნდმა წაგებების სერია შეწყვიტა. ეს გიორგი მიქაძის სადებიუტო მატჩი იყო საბურთალოს მწვრთნელის რანგში. მიქაძემ წინა ტურის შემდეგ თელავი დატოვა და დედაქალაქურ კლუბს მიაშურა.

შედეგად, მიქაძეს სამკვირიან ინტერვალში ორი სხვადასხვა გუნდით მოუწია ბათუმელებთან დაპირისპირება: თელავს როცა წვრთნიდა, მაშინ კახეთის გუნდმა 2:1 მოუგო ლიდერს, ახლა ფრეს გამორჩა.

დაკარგული ქულების მიუხედავად, ზღვისპირელებმა მდევართან სხვაობა გაზარდეს და ახლა 8-ქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობენ. საბურთალო მესამე ადგილზე რჩება, მაგრამ ცხრილის ამ ნაწილში სიმჭიდროვეა და მეექვსეადგილოსანს მხოლოდ ორი ქულით უსწრებს.

**სამგურალი-შუქურა 5:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0, 2:0 სულაქველიძე (17, 28), 3:0 ხორხელი (48), 4:0 ბალანიუკი (58), 5:0 ჩიხლაძე (64)

**სამგურალი:** კუტალაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, ქარიმოვი (ლომინაძე 52), კალანდარიშვილი, არტური, სულაქველიძე, ნ. ხორხელი (ა.ვერულიძე 64), კაგაიამა (ჩიხლაძე 52), ლიმა (გომესი 46), ბალანიუკი (იკპე 64)

**შუქურა:** აბრამიშვილი, კამლაძე, ასათიანი (ნადირაძე 85), ჩაკვეტაძე (ჩანქსელიანი 71), გ.ქავთარაძე, გაზდელიანი (გოგოლაშვილი 52), ჯინჭარაძე, აფხაზავა (კვარაცხელია 52), ჯანელიძე, ბ.ვერულიძე (ანანიძე 71), მუჯირი

წყალტუბოს სამგურალმა აუტსაიდერ ქობულეთის შუქურას 5:0 სძლია. პირველ ტაიმში გიორგი სულაქველიძემ დუბლი მიითვალა და ეს მისი პირველი გოლებია ეროვნულ ლიგაში.

მეორე ტაიმის დასაწყისში სხვაობა ნიკა ხორხელმა გაზარდა, მერე დენის ბალანიუკმა ახლოდან გაიტანა, ბოლოს კი, დემურ ჩიხლაძემ ანგარიში 5:0 გახადა. ბალანიუკმა გოლს სამი საგოლე პასიც მიაყოლა.

**გაგრა-თელავი 4:1**

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

1:0 ჯანგიძე (19), 2:0 მამაცაშვილი (33), 3:0 ივანიაძე (70), 4:0 გუტი (88სკ), 4:1 რუხაძე (90)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, კაკუბავა, ჯანგიძე, კლოდინი, შონია (ლ.ნოზაძე 90), პაპავა (ჟორდანია 76), ლომთაძე (შუბითიძე 76), შონგა (ივანიაძე 69), მამაცაშვილი (ზოიძე 76), მუსელიანი

**თელავი:** იურჩენკო, რომი (ჟღივიძე 71), მენიხი, გუტი, გაბიტაშვილი, მ.ბაშელეიშვილი (ცნობილაძე 65), ბეგიჩი, პროტასოვი (აშორტია 46), ჯეფინიო (ო.გაგნიძე 71), რუხაძე, მორჩილაძე (დიმიჩი 57)

**გაძევება:** გაბიტაშვილი (90)

გაგრამ დამაჯერებლად მოუგო თელავს და ამით საქმე სამტრედიასაც

გაგრძელება მე-7 გვერდზე

კალეიდოსკოპი

## ვეშაპმა ქალი ზვიგენისგან დაიცვა



ამერიკელ ბიოლოგ ნენ ჰაუზერს ვეშაპი დაეხმარა ექვსმეტრიანი ზვიგენის თავდასხმის თავიდან აცილებაში.

იმ დროს ჰაუზერი მუშაობდა დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც კუკის კუნძულთან ვეშაპების დაცვას შეეხებოდა. გადასაღებ ჯგუფს სჭირდებოდა კადრები, რომლებზეც ვეშაპების გვერდით მოცურავე ბიოლოგი იქნებოდა ასახული. როდესაც ყველაფერი მზად იყო, ჰაუზერმა წყალქვეშ ცურვისთვის განკუთვნილი კოსტიუმი ჩაიცვა, ვიდეოკამერა ჩართო და წყლის ქვეშ ჩაყვინთა. მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი ხანია ზღვის ცხოველების ცხოვრების შესწავლითაა დაკავებული, ამ ჯერზე მათმა ქცევამ გააკვირვა.

შეშინებულმა ჰაუზერმა სცადა თავიდან მოეშორებინა ვეშაპი, რომელმაც მას ფარფლი შემოხვია და სხეულზე მიიკრა. შემდეგ მის ქვეშ შეცურდა, წყალს ზევით ამოიყვანა და რაც შეიძლება შორს გააცურა. ამ ყველაფერს ბიოლოგის ჩართული ვიდეოკამერა იღებდა.

დაახლოებით შვიდი წუთის შემდეგ კი ჰაუზერმა ზღვის კიდევ ერთი დიდი ცხოველი შენიშნა. თავდაპირველად მან ის მეორე ვეშაპად მიიჩნია, თუმცა, შემდეგ მიხვდა, რომ მათკენ ვეფხვისებური ზვიგენი მიცურავდა. ის აშკარად თავდასხმისთვის ემზადებოდა.

ამ შემთხვევიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ბიოლოგმა შეიტყო, რომ კუზიანი ვეშაპები ისევ გამოჩნდნენ კუნძულის სანაპიროსთან. ის ოკეანეში გავიდა და ერთ-ერთ მათგანში თავისი გადამრჩენელი ვეშაპი ამოიცნო მის თავზე არსებული ნაიარევითა და კუდზე არსებული ნაკაწრებით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ვილი სანიოლი: „ესპანეთთან მარცხის გამო პასუხისმგებლობას ვიღებ, ახლა ყურადღება მარტის თამაშებზე გვაქვს“

საქართველოს ნაკრებს ოქტომბერში ორი მატჩი ელის: 12-ში ჩვენები ტაილანდს ამხანაგურად უმასპინძლებენ, ხოლო 15-ში ევრო 2024-ის შესარჩევი ეტაპის მატჩში კვიპროსს დაუხვდება.

მოახლოებული მატჩების წინ, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

**ვილი სანიოლი:**

– ესპანეთთან მატჩის შემდეგ ვთქვი და გავიმეორებ, რომ ეს იყო საშინელება. ფეხბურთელებს, პრაქტიკულად, არაფერი უჩვენებიათ, მაგრამ პასუხისმგებლობა ჩემს კისერზეა. შესაძლებელია, უნდა გვეთამაშა 3 მცველით და არა ოთხით, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ სიახლე შეგვეტანა. ცხოვრებაში არასდროს გავურბივარ პასუხისმგებლობას და ყველაფერს ვიაზრებ. კრიტიკა მიღებული მაქვს და შემდეგი მატჩებისთვის, ყველაფრის სასიკეთოდ შეცვლას შევეცდებით.

რაც შეეხება შემადგენლობის შერჩევას, პირველ რიგში დამოკიდებულია ნაჩვენებ შედეგებზე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ ერთ კონკრეტულ პრინციპზეა დამოკიდებული. მაგალითად, ბუდუ ზივზივაძე გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდ კარლსრუეში ბევრს არ თამაშობს, რაზეც გული გვწყდება, მაგრამ საერთოდ რომ არ ითამაშოს, ვფიქრობ, ნაკრებში ყოფნას იმსახურებს. მას აქვს მენტალიტეტი და როცა ნდობას ვუცხადებდი, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო. ბევრს და ძლიერად მუშაობს როგორც ვარჯიშის დროს, ისე მატჩებში.

აბურჯანია და გოჩოლეიშვილი კი მოწოდების სიმაღლეზე ვერ იყვნენ, ვერ აჩვენეს ის დონე, რომელიც მათ შეუძლიათ და ახლა გამოძახებულნი სწორედ ამიტომ არ არიან. მინდა ფეხბურთელებმა გააცნობიერონ, რომ ეროვნული გუნდის კარი დაკეტილი არავისთვის არ არის და მომავალში დაბრუნდებიან, ისევე, როგორც ნიკა კვეკვესკირი და ლევან შენგელია დაგვიბრუნდნენ. სავარაუდოდ, ცვლილებები მომავალშიც იქნება.

თუ ჩვენ რაღაცის შესახებ არ ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. ჩვენთვის მთავარი მიზანი მარტის მატჩები გახდა. ეს ყველაზე მოკლე გზაა ევროპის



ჩემპიონატზე მოსახვედრად. უშუალოდ მიმდინარე ჯგუფში ჩვენ ძალიან გამოცდილი მეტოქეები გვყავდა: შოტლანდიის, ესპანეთის, ნორვეგიის ნაკრებები. მათ ჰყავთ ფეხბურთელები, რომლებიც რეგულარულად ევროპის წამყვან ჩემპიონატებსა თუ ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობენ.

შესაბამისად, მარტი ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პერიოდია და იმ დროს ახალი ფეხბურთელების გამოცდა ალოგიკურია. ამიტომ, ამ საქმეს ხელი ახლა უნდა მოვკიდოთ. ამის მაგალითია ივა გელაშვილის გამოძახება, რომელიც სპეციაში, იტალიის რანგით მეორე ლიგაში თამაშობს და ეს საკმაოდ მაღალი დონეა. შევეცდებით, რომ მისთვის ბუნებრივ, ცენტრალური მცველის პოზიციაზე მოვსინჯოთ.

ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ საქართველოს ნაკრებს მცველების პრობლემა აქვს, რადგან თანამედროვე ფეხბურთში როგორც ყველა ფეხბურთელი უტევს, ისე ყველა მათგანი ცდილობს თავის დაცვას. თუ რომელიმე ფეხბურთელი საკუთარ შესაძლებლობებს კარგად ვერ წარმოაჩენს, მის ადგილს ახალი მოთამაშე იკავებს. მაგალითად, ჩვენ გელაშვილი შემოგვემატა, სამწუხაროდ, საბა საზონოვი ტრავმირებულია. ფეხბურთის გუნდის გაწვრთნა არ ნიშნავს მათემატიკასთან ან ჭადრაკთან პარალელების გავლებას.

ბოლო ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში, საქართველო ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული ნაკრებია ახალგაზრდა ფეხბურთელების დამატების კუთხით და მათი წარმატებული მონაწილეობის გათვალისწინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი კარი ყოველთვის ღიაა და მზად ვარ იმ ფეხბურთელის მისაღებად, რომელიც რაიმეს აჩვენებს. ამავე დროს, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ვარ ის ადამიანი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვინ მოხვდება საქართველოს ნაკრებში.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ოქტომბრის მატჩებისთვის ასეთია:**

**მეკარე:** გიორგი ლორია (დინამო, თბ), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ალ ახდუდი, საუდის არაბეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), ირაკლი აზაროვი (შახტარი, უკრაინა), ივა გელაშვილი (სპეცია, იტალია), ალექსანდრე კალანდაძე (დინამო, თბ);

**ნახევარდაცვა:** ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გაბრიელ სიგუა (ბაზელი, შვეიცარია), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო, ბთ), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო, თბ), სანდრო ალთუნაშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), საბა ლობჟანიძე (ატლანტა, აშშ), გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

**თავდასხმა:** გიორგი მიქაუტაძე (აიაქსი, ნიდერლანდები), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია).

## ბათუმის დინამომ მდევართან სხვაობა გაზარდა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

გაუკეთა და საკუთრივაც გამოისწორა. გაგრა ბოლოსწინა ადგილზე რჩება, მაგრამ მეშვიდეზე მყოფ თელავს უკვე 5 ქულით ჩამორჩება.

პირველ ტაიმში ჯერ მცველმა თორნიკე ჯანგიძემ გაიტანა თავურით, მერე საბა მამაცაშვილმა შორიდან მოულოდნელი დარტყმით 2:0 გახადა. მესამე გოლი 70-ე წუთზე გიორგი ივანიაძემ მიითვალა საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმით.

საინტერესო ფაქტი: ჯანგიძემ, მამაცაშვილმაც და ივანიაძემაც წლევანდელ ეროვნულ ლიგაში სადებიუტო გოლები გაიტანეს.

88-ე წუთზე 4:0 გახდა თელაველთა ბრაზილიელი ტომელინ გუტიერის ავტოგოლით. ბოლოს კი თელავმა ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა: გუნდის კაპიტანმა ირაკლი რუხაძემ ზედიზედ მეოთხე მატჩში გაიტანა – 4:1.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 29 | 18 | 9 | 2 | 67-28 | 63 |
| 2.დინამო (თბ) | 29 | 16 | 7 | 6 | 72-42 | 55 |
| 3.საბურთალო | 29 | 13 | 7 | 9 | 53-35 | 46 |
| 4.სამგურალი | 29 | 13 | 7 | 9 | 43-41 | 46 |
| 5.ტორპედო | 29 | 12 | 9 | 8 | 36-31 | 45 |
| 6.დილა | 29 | 12 | 8 | 9 | 44-34 | 44 |
| 7.თელავი | 29 | 8 | 7 | 14 | 27-48 | 31 |
| 8.სამტრედია | 29 | 8 | 5 | 16 | 34-48 | 29 |
| 9.გაგრა | 29 | 6 | 8 | 15 | 30-55 | 26 |
| 10.შუქურა | 29 | 3 | 5 | 21 | 33-77 | 8 |

**შენიშვნა:** შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

## უეფა ევროტურნირების ახალ ფორმატზე მუშაობს

უეფა და ევროპული კლუბების ასოციაცია ახალი ტურნირის კონცეფციას ერთობლივად ამუშავებენ. ახალი პროექტით, ტურნირი სამი დივიზიონისგან იქნება შემდგარი. თუმცა, მისი განხილვა სექტემბრის ბოლოს გაიმართა. ერთია, ევროტურნირებს ცვლილებები 2027 წლამდე არ შეეხება.

რა მოხდება 2027 წლის შემდეგ? ახალი პროექტი სამ დივიზიონს ითვალისწინებს: სუპერლიგა, ევროპის ლიგა და პრეტენდენტთა ლიგა. თითოეულ დივიზიონში 18 გუნდი ითამაშებს. გათვალისწინებული იქნება დივიზიონებში დაწინაურება და დაქვეითება: ორ-ორი გუნდი სუპერლიგასა და ევროპის ლიგას შორის და ოთხ-ოთხი გუნდი – ევროპის ლიგასა და პრეტენდენტთა ლიგას შორის. დაწინაურება ან დაქვეითება კონკრეტული ერთი სეზონის შედეგზე დამოკიდებული არ იქნება – არამედ ბოლო სამი ან ხუთი წლის საშუალო მაჩვენებლებზე.

პლუს, კლუბების განაცხადები გაზრდილი 34 ფეხბურთელამდე იქნება.

# შედეგები

### 8 ოქტომბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ლივერპული ........ 2:2
ვესტ ჰემი-ნიუკასლი ........ 2:2
ვულვზი-ასტონ ვილა ........ 1:1
არსენალი-სიტი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტოტენჰემი | 8 | 6 | 2 | 0 | 18-8 | 20 |
| 2.არსენალი | 8 | 6 | 2 | 0 | 16-6 | 20 |
| 3.სიტი | 8 | 6 | 0 | 2 | 17-6 | 18 |
| 4.ლივერპული | 8 | 5 | 2 | 1 | 18-9 | 17 |
| 5.ასტონ ვილა | 8 | 5 | 1 | 2 | 19-12 | 16 |
| 6.ბრაიტონი | 8 | 5 | 1 | 2 | 21-16 | 16 |
| 7.ვესტ ჰემი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-12 | 14 |
| 8.ნიუკასლი | 8 | 4 | 1 | 3 | 20-9 | 13 |
| 9.კრ.პალასი | 8 | 3 | 3 | 2 | 7-7 | 12 |
| 10.მანჩესტერი | 8 | 4 | 0 | 4 | 9-12 | 12 |
| 11.ჩელსი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-7 | 11 |
| 12.ფულემი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-13 | 11 |
| 13.ნოტინგემი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 14.ვულვზი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-14 | 8 |
| 15.ბრენტფორდი | 8 | 1 | 4 | 3 | 11-12 | 7 |
| 16.ევერტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-12 | 7 |
| 17.ლუთონი | 8 | 1 | 1 | 6 | 6-15 | 4 |
| 18.ბარნლი | 8 | 1 | 1 | 6 | 7-20 | 4 |
| 19.ბორნმუთი | 8 | 0 | 3 | 5 | 5-18 | 3 |
| 20.შეფილდი | 8 | 0 | 1 | 7 | 6-22 | 1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-კიოლნი ........ 3:0
ბაიერნი-ფრაიბურგი ........ 3:0
აინტრახტი-ჰაიდენჰაიმი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 7 | 6 | 1 | 0 | 23-6 | 19 |
| 2.შტუტგარტი | 7 | 6 | 0 | 1 | 22-8 | 18 |
| 3.ბაიერნი | 7 | 5 | 2 | 0 | 23-6 | 17 |
| 4.დორტმუნდი | 7 | 5 | 2 | 0 | 16-8 | 17 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 7 | 5 | 0 | 2 | 16-11 | 15 |
| 6.ლაიფციგი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-6 | 14 |
| 7.ვოლფსბურგი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-9 | 12 |
| 8.აინტრახტი | 7 | 2 | 4 | 1 | 6-5 | 10 |
| 9.ფრაიბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-13 | 10 |
| 10.ჰაიდენჰაიმი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-15 | 7 |
| 11.დარმშტადი | 7 | 2 | 1 | 4 | 12-19 | 7 |
| 12.გლადბახი | 7 | 1 | 3 | 3 | 13-16 | 6 |
| 13.უნიონი | 7 | 2 | 0 | 5 | 11-14 | 6 |
| 14.ვერდერი | 7 | 2 | 0 | 5 | 12-17 | 6 |
| 15.აუგსბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 10-17 | 5 |
| 16.ბოხუმი | 7 | 0 | 4 | 3 | 5-19 | 4 |
| 17.მაინცი | 7 | 0 | 2 | 5 | 6-19 | 2 |
| 18.კიოლნი | 7 | 0 | 1 | 6 | 4-14 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-პადერბორნი ........ 1:3
კილი-ელვესბერგი ........ 1:1
შალკე-ჰერტა ........ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-ლას პალმასი ........ 1:2
ატლეტიკო-სოსიედადი ........ 2:1
ალავესი-ბეტისი ........ 1:1
სელტა-ხეტაფე ........ 2:2
გრანადა-ბარსელონა ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 9 | 8 | 0 | 1 | 20-6 | 24 |
| 2.ხირონა | 9 | 7 | 1 | 1 | 19-11 | 22 |
| 3.ბარსელონა | 9 | 6 | 3 | 0 | 21-10 | 21 |
| 4.ატლეტიკო | 8 | 6 | 1 | 1 | 20-8 | 19 |
| 5.ბილბაო | 9 | 5 | 2 | 2 | 16-9 | 17 |
| 6.სოსიედადი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-12 | 15 |
| 7.ბეტისი | 9 | 3 | 4 | 2 | 11-13 | 13 |
| 8.რაიო | 9 | 3 | 4 | 2 | 11-13 | 13 |
| 9.ვალენსია | 9 | 3 | 2 | 4 | 10-11 | 11 |
| 10.ლას პალმასი | 9 | 3 | 2 | 4 | 6-8 | 11 |
| 11.ხეტაფე | 9 | 2 | 4 | 3 | 12-15 | 10 |
| 12.ოსასუნა | 9 | 3 | 1 | 5 | 9-14 | 10 |
| 13.კადისი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-12 | 9 |
| 14.ვილიარეალი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-15 | 8 |
| 15.ალავესი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-13 | 8 |
| 16.სევილია | 8 | 2 | 2 | 4 | 13-12 | 8 |
| 17.მალიორკა | 9 | 1 | 5 | 3 | 12-15 | 8 |
| 18.სელტა | 9 | 1 | 3 | 5 | 10-15 | 6 |
| 19.გრანადა | 9 | 1 | 3 | 5 | 15-23 | 6 |
| 20.ალმერია | 9 | 0 | 3 | 6 | 11-24 | 3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ამორებიეტა-ეიბარი ........ 1:2
ვალიადოლიდი-მირანდესი ........ 3:2
ფეროლი-კარტახენა ........ 1:1
ტენერიფე-ბურგოსი ........ 2:1
სარაგოსა-ალკორკონი ........ 0:2

**იტალია. სერია ა**

მონცა-სალერნიტანა ........ 3:0
ლაციო-ატალანტა ........ 3:2
ფროზინონე-ვერონა ........ 2:1
კალიარი-რომა ........ 1:4
ნაპოლი-ფიორენტინა ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 8 | 7 | 0 | 1 | 16-8 | 21 |
| 2.ინტერი | 8 | 6 | 1 | 1 | 21-5 | 19 |
| 3.იუვენტუსი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-6 | 17 |
| 4.ფიორენტინა | 8 | 5 | 2 | 1 | 18-11 | 17 |
| 5.ნაპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 17-9 | 14 |
| 6.ატალანტა | 8 | 4 | 1 | 3 | 13-8 | 13 |
| 7.მონცა | 8 | 3 | 3 | 2 | 8-7 | 12 |
| 8.ლეჩე | 8 | 3 | 3 | 2 | 9-10 | 12 |
| 9.ფროზინონე | 8 | 3 | 3 | 2 | 11-11 | 12 |
| 10.რომა | 8 | 3 | 2 | 3 | 19-12 | 11 |
| 11.ბოლონია | 8 | 2 | 5 | 1 | 8-6 | 11 |
| 12.სასუოლო | 8 | 3 | 1 | 4 | 12-14 | 10 |
| 13.ლაციო | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 14.ტორინო | 8 | 2 | 3 | 3 | 6-9 | 9 |
| 15.ჯენოა | 8 | 2 | 2 | 4 | 10-12 | 8 |
| 16.ვერონა | 8 | 2 | 2 | 4 | 5-8 | 8 |
| 17.უდინეზე | 8 | 0 | 5 | 3 | 4-12 | 5 |
| 18.ემპოლი | 8 | 1 | 1 | 6 | 1-16 | 4 |
| 19.სალერნიტანა | 8 | 0 | 3 | 5 | 4-17 | 3 |
| 20.კალიარი | 8 | 0 | 2 | 6 | 3-16 | 2 |

**იტალია. სერია ბ**

კომო-კრემონეზე ........ 1:3
სპეცია-პიზა ........ 0:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

მარსელი-ლე ავრი ........ 3:0
ბრესტი-ტულუზა ........ 1:1
ლიონი-ლორიანი ........ 3:3
ლანსი-ლილი ........ 1:1
რენი-პსჟ ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 8 | 5 | 2 | 1 | 21-11 | 17 |
| 2.ნიცა | 8 | 4 | 4 | 0 | 9-4 | 16 |
| 3.პსჟ | 8 | 4 | 3 | 1 | 17-7 | 15 |
| 4.ბრესტი | 8 | 4 | 3 | 1 | 9-7 | 15 |
| 5.რეიმსი | 8 | 4 | 1 | 3 | 14-11 | 13 |
| 6.მარსელი | 8 | 3 | 3 | 2 | 12-11 | 12 |
| 7.ლილი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-10 | 12 |
| 8.რენი | 8 | 2 | 5 | 1 | 14-10 | 11 |
| 9.ნანტი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-15 | 11 |
| 10.ტულუზა | 8 | 2 | 4 | 2 | 10-9 | 10 |
| 11.სტრასბური | 8 | 3 | 1 | 4 | 8-11 | 10 |
| 12.მონპელიე | 7 | 2 | 3 | 2 | 12-9 | 9 |
| 13.ლე ავრი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-12 | 9 |
| 14.ლანსი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| 15.მეცი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-14 | 8 |
| 16.ლორიანი | 8 | 1 | 4 | 3 | 13-18 | 7 |
| 17.ლიონი | 8 | 0 | 3 | 5 | 6-16 | 3 |
| 18.კლერმონი | 7 | 0 | 2 | 5 | 5-12 | 2 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

კასა პია-ეშტრელა ........ 0:1
ფამილიკაუ-გიმარაეში ........ 1:3
პორტუ-პორტიმონენშე ........ 1:0
სპორტინგი-აროუკა ........ 2:1

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ზვოლე-ფეენოორდი ........ 0:2
აიაქსი-ალკმაარი ........ 1:2
სიტარდი-ტვენტე ........ 0:3
სპარტა-პსვ ........ 0:4

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-ბრიუგე ........ 2:1
ანტვერპენი-ეუპენი ........ 4:1
გენტი-გენკი ........ 1:1
სტ.ტრუიდენი-სტ.ჟილუა ........ 0:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-სამსუნი ........ 1:0
ბეშიქთაში-ისთანბული ........ 2:0
ქაშიმფაშა-ფენერბახჩე ........ 0:2
ჰატაი-ქონია ........ 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-შტურმი ........ 1:2
ლინცერი-ალტახი ........ 1:0
კლაგენფურტი-ზალცბურგი ........ 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-რეინჯერსი ........ 0:3
აბერდინი-სტ.ჯონსონი ........ 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-პანეთოლიკოსი ........ 3:0
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი ........ 5:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-სერვეტი ........ 0:1
ლოზანა-ლუცერნი ........ 3:1
იანგ ბოიზი-ბაზელი ........ 3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჰრადეც კრალოვე-სპარტა ........ 1:3
პლზენი-იაბლონეცი ........ 3:2
ლიბერეცი-სლავია ........ 2:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სლასკი-გურნიკი ........ 1:1
კრაკოვია-იაგელონია ........ 2:4
ლეგია-ჩენსტოხოვა ........ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ობოლონი-მეტალისტი 1925 ........ 1:0
რუხი-მინაი ........ 0:0
კრივბასი-ჩერნომორეცი ........ 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ვაილე-ჰვიდორვე ........ 3:1
ნორდსიელანდი-ოდენსე ........ 0:1
ბრონდბიუ-ვიბორგი ........ 1:0
მიდტიულანდი-რანდერსი ........ 2:2
ორხუსი-კოპენჰაგენი ........ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ბრომაპოიკარნა-ელფსბორგი ........ 0:3
ვერნამო-ნორჩიოპინგი ........ 2:1
კალმარი-მალმიო ........ 1:0
ვარბერგი-დიურგარდენი ........ 0:1
ჰამარბი-ჰაკენი ........ 2:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიოლდე-ბოდო ........ 1:3
სანდერფიორდი-ჰამკამი ........ 0:1
სარპსბორგი-რუსენბორგი ........ 5:2
სტაბეკი-ლილესტრიომი ........ 1:0
ტრომსო-ალესუნდი ........ 1:2
ჰაუგესუნდი-სტრომგოდსეტი ........ 1:0
ვალრენგა-ბრანი ........ 1:2

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შინაური ფრინველი; 2. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში; 3. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ნაციონალური ცენტრი; 4. მთვარიანი ღამე; 5. შინაური კურდღელი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 12. უეფას პრეზიდენტი; 13. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 16. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 20. ბალერინის სპეციალური ფეხსაცმელი.

**თარაზულად:** 6. ძველი, იშვიათი ნივთების შემფასებელი, მოვაჭრე; 7. რძის შაქარი; 8. რაიონული ცენტრი სვანეთში; 10. ძრავა, რომელიც აირის, წყლის ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის; 11. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. თაღლითი, მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 18. რაიმე დარგის, მეცნიერების ზოგადი, განყენებული საფუძვლები; 21. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 22. საქართველოს ზღვისპირეთში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 23. ისრაელის სახელმწიფო ენა; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოპოლა; 2. თუნი; 3. ჩატურანგა; 4. ფლეში; 5. გონდოლა; 8. დუქანი; 9. მიხაილოვო; 12. ჰენესი; 14. ლალიძე; 16. ალილო.

**თარაზულად:** 1. კართოტეკა; 6. ვატერლოო; 7. პრუდონი; 9. მედუზა; 10. ფინო; 11. კარწახი; 13. ტოლმა; 15. დევიზა; 17. ბაირაღი; 18. ველენი; 19. ტანძია; 20. ჯოკონდა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნიორაძე; 2. ხინკალი; 3. რისლინგი; 4. ჟუდეცი; 5. სუარესი; 8. მემფისი; 9. პარალიზი; 12. ნოკდაუნი; 13. ერლიფტი; 16. ჟოეკვარა; 17. კანკანი; 19. სმალტა; 20. ბაწარა.

**თარაზულად:** 6. ჰინდიკუში; 7. სულგუნი; 8. მელაძე; 10. პაიჭაძე; 11. გემა; 14. გორდონსი; 15. ოკულისტი; 18. კოზაკი; 21. მატიანე; 22. რანდი; 23. აუდიტი; 24. ზამინდარი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 2.6675

ევრო — 2.8078

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2463

100 რუსული რუბლი — 2.6324

## ამინდის პროგნოზი 10 ოქტომბრისათვის




## მიკელ არტეტა: „არსენალმა სიტისთან გამარჯვება დაიმსახურა“



არსენალმა საკუთარ მოედანზე მანჩესტერ სიტი დაამარცხა ანგარიშით 1:0 და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ერთადერთი გოლი 86-ე წუთზე გაბრიელ მარტინელიმ გაიტანა. მატჩის შემდეგ არტეტამ თქვა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა:

– მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ და საბოლოოდ იღბალი ჩვენს მხარეს იყო. მიხარია, რომ მოვიგეთ, რადგან სიტის დამარცხება გმირობის ტოლფასია. არსენალი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

## ხავი: „გრანადასთან უნდა მოგვეგო“



ბარსელონამ სტუმრად გრანადას ვერ მოუგო და რეალი უკვე ბარსელონას 3 ქულით უსწრებს. შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. მატჩის შემდეგ ხავიმ თქვა, რომ მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა და მათ მთელი მატჩის მანძილზე ჰქონდათ უპირატესობა:

– დიდი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ დაცვაში დასანანი შეცდომები დავუშვით და ამის გამო მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. მომავალში უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ ეს აღარ განმეორდეს.

## პოლ პოგბას 4-წლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება

იუვენტუსის და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველს პოლ პოგბას 4-წლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, რადგან მისმა ანალიზმა აჩვენა, რომ პოგბა აკრძალულ პრეპარატს იყენებდა. პოგბა ამ ყველაფერს უარყოფს და ამბობს, რომ პრეპარატი მის ორგანიზმში შემთხვევით მოხვდა, თუმცა ის, სავარაუდოდ, დისკვალიფიკაციას მაინც ვერ გადაურჩება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## „შაშვი, შაშვი მაყვალი“ საქართველოს კინოთეატრებში იქნება ნაჩვენები




რეჟისორ ელენე ნავერიანის ერთ-ერთი ბოლო ფილმი „შაშვი, შაშვი მაყვალი“ 12 ოქტომბრიდან საქართველოს კინოთეატრებში იქნება ნაჩვენები. რეჟისორმა ფილმი მწერალ თამთა მელაშვილის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაიღო. მასში მთავარ როლებს ეკა ჩავლეიშვილი და თემიკო ჭიჭინაძე ასრულებენ.

ფილმმა არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალში მიიღო მონაწილეობა და მრავალი პრიზითაც დაჯილდოვდა.

## ნოდარიკო ხუციშვილი სადებიუტო ალბომს წერს



მომღერალი ნოდარიკო ხუციშვილი სადებიუტო ალბომზე მუშაობს. პირველი საავტორო სიმღერა უკვე ჩაწერილია და მას „ფერადი სიზმრები“ ეწოდება. სიმღერის, მუსიკისა და ტექსტის ავტორი თავად ნოდარიკოა. მომღერალმა ენერგიულ სიმღერაზე ვიდეორგოლიც გადაიღო და პრემიერა ინტერნეტით გამართა:

– ჩემი ალბომის პირველი საავტორო სიმღერაა „ფერადი სიზმრები“. იმედია, ეს ემოცია თქვენამდეც მოვა და გაგიფერადებთ დღეს.

## ჯაბა ქარსელაძე ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაირიცხა



**მომღერალი ჯაბა ქარსელაძე ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაირიცხა:**

– მინდა გაგიზიაროთ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რადგან 2023 წლის 6 ოქტომბერი ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო! დღე ახალი ეპოქის დასაწყისის!

ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცით, რომ ძალიან მიყვარს სწავლა, უკვე 10 წელზე მეტია ვასწავლი კიდევაც, თუმცა სასწავლი არასოდეს არ გამოილევა, რადგან მას ლიმიტი არ გააჩნია და ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი დევიზია: „სწავლა სიკვდილამდე“.

როდესაც 10 წლის ვიყავი, მამაჩემმა მაჩუქა კალენდარი ამერიკის ყველა პრეზიდენტის ფოტოს გამოსახულებით და მითხრა: „ამერიკის პრეზიდენტი ვერ გახდები, თუმცა მინდა, რომ მათსავით ძალიან წარმატებული და განათლებული იყოო“ და სწორედ მაშინ დავისახე მიზნად, რომ მეც ოდესმე მესწავლა იქ, სადაც ამერიკის 8 პრეზიდენტს უსწავლია და ჩავიდე თავში, რომ ერთ დღეს ჰარვარდის უნივერსიტეტში აუცილებლად ვისწავლიდი! და აი დადგა ეს დღეც, როცა პირადად მოვისმინე შემდეგი სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჰარვარდში, თქვენს ოჯახში!“ და ეს ინაუგურაციის ცერემონიალი, რომელიც ჰარვარდის ეზოს ეკლესიაში შედგა, ისეთი სიტყვებით, შემართებითა და მხარდაჭერით მიგვიღეს თითოეული ხარისხის კანდიდატი, რომ ბევრმა და მათ შორის მეც, ცრემლები ვერ შევიკავეთ. ცერემონიალის შემდეგ ოფიციალურ მიღებაზე, არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემგან და კიდევ რამდენიმე კანდიდატისგან აიღეს ინტერვიუ, რომელიც მალე ჰარვარდის სოციალურ გვერდზე გამოქვეყნდება და მალაპარაკეს ჩემი წარმატების გზაზე, თუმცა ჩემი ინტერვიუ აი ამ სიტყვებით დავამთავრე: „მე მეამაყება, რომ ვარ ქართველი და დღეს ჩამოვედი აქ ძალიან პატარა, თუმცა ძალიან ლამაზი ქვეყნიდან და მე მინდა, რომ ეს ჩემი ახალი გზა და მომავალი გამარჯვება, სწორედ რომ ჩემი ქვეყნის ევროპულ მომავალს და ჩემს ლამაზ ოჯახს მივუძღვნა, რადგან, რომ არა ჩემი ქვეყანა და ჩემი ოჯახი, მე დღეს აქ არ ვიქნებოდი!“

ძალიან დიდი მადლობა ყველას, ჩემს ოჯახს, ჩემს მეგობრებს და ჩემს მასწავლებელ-პროფესორებს და ყველას, ვისაც ყოველთვის სჯეროდა ჩემი! განსაკუთრებულად დიდი მადლობა კახა შენგელიას, რადგან მას ყოველთვის სჯეროდა ჩემი. არ შემიძლია არ ვახსენო პირადად ჩემი ძალიან ახლო მეგობარი, ჩემი ყოფილი აკადემიური დირექტორი, ლელა ქსოვრელი, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც იცოდა ჩემი ამ დიდი გეგმის შესახებ და არა მარტო მგულშემატკივრობდა, არამედ ძალიან დამეხმარა, რომ მისაღები გამოცდებისათვის საფუძვლიანად მოვმზადებულიყავი და მუდამ მამხნევებდა, მე ამას აუცილებლად შევძლებდი, ისევე, როგორც ჩემი ოჯახი და საუკეთესო მეგობრები! ძალიან დიდი მადლობა ყველას თქვენ, ვისაც გიყვარვართ და ჩემი წარმატება გიხარიათ, რადგან ძალიან ცოტა ქართველს უსწავლია აქ და მე ვამაყობ და ბედნიერი ვარ, რომ მომეცა ცხოვრებისგან შანსი, ამ უნიკალური უნივერსიტეტის ოჯახის წევრი გავმხდარიყავი და ძალიან დიდი იმედი მაქვს, ამ 2-წლიან, საკმაოდ რთულ გზას დიდი წამატებით გავივლი! ჩემი მთავარი მიზანი, რა თქმა უნდა, იქნება ის, რომ ჰარვარდში მიღებული უმაღლესი ხარისხის ცოდნა და რაც ყველაზე მთავარია, კონტაქტები, რომელიც ამ უნივერსიტეტის უნიკალური აქტივია, ძალიან სასარგებლოდ გამოვიყენო ცხოვრებაში, რადგან უკვე ჩემს უკან დგას ძალიან დიდი და თამამად შემიძლია ვთქვა, ყველაზე წამატებული უნივერსიტეტი მსოფლიოში, რომელსაც ჰარვარდი ჰქვია და მე მადლიერი ვარ უფლის, რომ ამისრულა ეს უდიდესი ოცნება!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მოდელი მარიშა გვიდანი მთვრალმა მძღოლმა იმსხვერპლა



15 წლის მოდელი მარიშა გვიდანი მთვრალმა მძღოლმა იმსხვერპლა. შემთხვევა 1 კვირის წინ მოხდა. მარიშა ამ დრომდე კომაში იმყოფებოდა.

ლამაზმანი სამოდელო სააგენტო „ჯეომოდელსის“ მოდელი იყო:

– ჩვენი გუნდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დატრიალებული ტრაგედიის გამო და უსამძიმრებს მარიშა გვიდანის გარდაცვალებას ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს.

ეს ანგელოზი ბავშვი შეიწირა ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მძღოლმა, რომელმაც საგზაო წესების დარღვევის შედეგად, ასე გადაწყვიტა 15 წლის მარიშას ბედი.

ვერც ერთი სიტყვა ვერ გადმოსცემს იმ სიმძიმეს და ტრაგედიას, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გრძნობს და განიცდის.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული მარიშა, შენ იყავი ადამიანი, რომელიც ყოველთვის გვემახსოვრება და დარჩება ჩვენს გულებში, – ნათქვამია სამოდელო სააგენტო „ჯეომოდელსის“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**თაკო ჩხეიძე, სამოდელო სააგენტო „ჯეომოდელსის“ ხელმძღვანელი:**

– ჩვენი ლამაზი, ლაღი, ცხოვრების მოყვარული, ულამაზესი სულის პატრონი მარიშა...

სიტყვებს ვერ ვპოულობ, ვუთანაგრძნობ მის ოჯახს, ახლობლებს. რთულია გადმოცემა, რასაც განვიცდით ამ საშინელი უსამართლობის გამო, რომელმაც შეიწირა მარიშა.

რას მივმართოთ, როგორ გავამკაცროთ, როგორ გავაგებინოთ ადამიანებს, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში საჭის მართვას ეწირებიან სრულიად უდანაშაულო ადამიანები!

## ინგა ფერაძე გარდაიცვალა



მომღერალი ინგა ფერაძე 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამშობლოსგან შორს, ბრიუსელში იგი თავშესაფარში ცხოვრობდა და მხოლოდ და მხოლოდ თბილისში დაბრუნებაზე ოცნებობდა.

**სამწუხარო ინფორმაცია ჟურნალისტმა მაკა რაზმაძემ გაავრცელა:**

– გაფრინდა ჩემი ლამაზი გოგო. აიარა ოქროყანის აღმართი. დატოვა მხოლოდ ბოლო სურვილი – საქართველოში დაბრუნება თუნდაც სიკვდილის შემდეგ.

სანდრო ელოშვილი, რეჟისორი:

– ჩემი აზრით, გენიალური და ყველასგან გამორჩეული ინგა ფერიძე წავიდა ამ ქვეყნიდან.

სხვა არ მახსენდება ერთდროულად ამდენი ტკივილით და თან ამდენი ფოიერვერკით ცხოვრებაში!

5-6 წლის წინ მთხოვა დახმარება თბილისში კონცერტისთვის. ვერ მოვაბი თავი. ბოდიში. მახსოვს ოქროყანის აღმართი, სუნი იასამანის...

## თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი აზიური ოსკარის კანდიდატია



ქართველი რეჟისორის თინათინ ყაჯრიშვილის ფილმის „მოქალაქე წმინდანი“ აზიური ოსკარის ნომინანტია. ფილმი 2 ნომინაციაშია წარდგენილი: საუკეთესო ფილმი – რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი და საუკეთესო ოპერატორი – კრუმ როდრიგესი.

აზიური ოსკარის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ავსტრალიის ქალაქ ბრისბანში ყოველწლიურად იმართება. წელს ღონისძიება 1-4 ნოემბერს ჩატარდება.

„მოქალაქე წმინდანი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი საქართველომ „ოსკარზეც“ წარადგინა.

## ნინო ხარატიშვილის ახალი სპექტაკლი სამეფო უბნის თეატრში გათამაშდება



სამეფო უბნის თეატრში მწერლისა და რეჟისორის ნინო ხარატიშვილის ახალი სპექტაკლი გათამაშდება.

„რატომ იხარშება ბავშვი პოლენტაში?“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც რეჟისორმა აგლაია ვეტერანის რომანის მიხედვით დადგა.

წარმოდგენის ნახვა თეატრის მოყვარულ საზოგადოებას 13 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში შეეძლება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 3. გერბების შემსწავლელი დისციპლინა; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 8. საჩუქრად მირთმეული რამე; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 14. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 16. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

**თარაზულად:** 1. ქართული მინერალური წყალი; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ზიარებისთვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის სასმისი ეკლესიაში; 9. ტყავის დამზადების ოსტატი; 10. ტბა გაგრის მახლობლად: 11. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 15. მწვავე ირონია, დაცინვა; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული სტილი დასავლეთ ევროპაში; 19. ქრისტიანთა „საღმრთო წიგნი“; 20. მდგომარეობა კრივში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

